ხობის მოამბე

№4-5 (7040-41) 15 მარტი,
ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ ქვირფასო ქალებო!

ირაკლი ღარიბაშვილი: ხობის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის 100 პროცენტით ათვისება შეძლო

12 მარტს ქ. თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს რეგიონების ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიასა და რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია ესწრებოდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყველაზე დიდი ათვისება ბიუჯეტის მხრივ აღინიშნება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და გურიაში. მისივე თქმით, არიან ქალაქები და მუნიციპალიტეტები, რომელთაც ძალიან კარგად და ეფექტიანად იმუშავეს და თანხები ეფექტურად აითვისეს. პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 100%-იანი ათვისება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი რეგიონული პროექტების და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებს და გამგებლებს მეტი ინიციატივებისკენ მოუწოდა.

გილოცავთ!

საქართველოში მცხოვრემ ყველა ქალმაცონს და განსაკუთრებით ჩემს ხომელემს ვულოცავ გაზაფხულის ღამაზ დღეებს. თუმცა ყველა დღე თქვენი არ არის? მაგრამ მაინც გვაქვს გამორჩეულად 3 და 8 მარტი. იმისათვის, რომ ჩვენ, კაცებმა კიდევ ერთხელ ვაღიაროთ თქვენი უპირატესობა, მოგეალერსოთ და გაგრძნობინოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი გაქვთ ცხოვრებაში. დაე, ყველა ქალმაცონი იყოს მუდამ მომღიმარი, კდემამოსილი, დაუღალავი და ემოციით დაცვირთული. იყავით ამაყი დედები, წელგამართული მეუღლები და საქმეში დაფასებული ქალმაცონები. იხარეთ და ამრავლეთ ერი.

თქვენ, ჩვენი ცხოვრების არსი ხართ.

გოდერძი ბუკია,
საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

„ხობის ახალგაზრდული იდეის“ წევრები პარლამენტში

ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიასა და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ხათუნა გერგაიას ხელმძღვანელობით „ხობის ახალგაზრდული იდეის“ წევრები საქართველოს პარლამენტს ესტუმრნენ. ისინი საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომას დაესწრნენ. სხდომის დაწყებამდე მათ საქართველოს პარლამენტის წევრები მიესალმნენ. პარლამენტში მისვლამდე ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსწავლე-ახალგაზრდები სასტუმრო „წყალტუბი პლაზაში“ მიიწვია. შეხვედრას დეპუტატის ბიუროს უფროსი რევაზ წულაია და სპეციალისტი ნინო ცხადაია ესწრებოდნენ. დეპუტატმა არსებულ პრობლემებზე, სამომავლო გეგმებსა და ახალ ინიციატივებზე ისაუბრა; მოსწავლეებისგან კი მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები მოისმინა. იყო უშუალო და საინტერესო შეხვედრა. მოსწავლეებთან სიახლოვემ და საუბარმა ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ბავშვობის წლებში დააბრუნა. ბატონმა გოდერძიმ სკოლის პერიოდიდან ბევრი რამ გაიხსენა, რამაც ახალგაზრდებს ხალისი შემატა. 45-მდე მოსწავლე ყურადღებით უსმენდა მაჟორიტარ დეპუტატს... ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანს ისე გაუღიმოს ბედმა, რომ წლების შემდეგ თავად გახდეს ახალგაზრდების მასპინძელი.

ინტერვიუ

ღირებულებები საქმიანობაში აისახება

ედიშერ ჯობავა– ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა.

ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები გამომდინარეობს იმ საკითხებიდან, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს და ზოგჯერ ცრუ ინფორმაციასაც ღებულობს ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით.

ინტერვიუში, კითხვებზე საინტერესო და ამომწურავი პასუხებია გაცემული.

როგორი იყო თქვენი პოლიტიკური გზა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, როგორ და რატომ მიხვედით „ქართულ ოცნებაში“ (ვგულისხმობ ვინმეს რეკომენდაციით, ლობირებით თუ თქვენ თვითონ ჩათვალეთ საჭიროდ), თვლით თუ არა, რომ თქვენი არჩევანი ყოველთვის სწორი იყო?

–მოგესალმებით. მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს. რაც შეეხება ამ კითხვას, ბევრჯერ მისაუბრია ამ თემაზე და შემიძლია დღესაც გავიმეორო, რომ პიროვნება თვითონ განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში და მისი შეხედულებისამებრ წარმართავს საქმიანობას. როდესაც საქმიანობაში წინააღმდეგობას აწყდება, ფიქრობს ალტერნატივაზე და სწორედ მაშინ ცვლის რეალობას. წინა ხელისუფლების პირობებში არ მომეცა საშუალება ჩემი რაიონის მოსახლეობისთვის ჩემი შესაძლებლობები გამომეყენებინა, მითუმეტეს მაშინ, როცა განსხვავებული ხედვა ნიშნავდა მტრობას,იქ ჩემი ადგილი არ იყო. ვიყავი ოპოზიციაში, ღიად ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას, ვღებულობდი მონაწილეობას დედაქალაქში დაგეგმილ საპროტესტო აქციებში. 2009 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციიდან დაბრუნებულს, ამავე წლის 19 ივნისს, მოხდა ჩემი საზოგადოებისგან იზოლირება (უკანონო დაპატიმრება).

ამის შემდეგ გარკვეული დროის მონაკვეთში მქონდა პასიური პოლიტიკური პერიოდი. ბრძოლასაც თითქმის აზრი დაეკარგა. 2009– 2011 მძიმე წლები იყო განსხვავებული ხედვის მქონე ადამიანებისთვის საქართველოში და განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ როდესაც გაჩნდა რეალური ალტერნატივა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, სწორედ მაშინ გაჩნდა იმედი და შესაბამისად, მოგეხსენებათ, განხორციელდა ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებები.

3

„ყველაზე კარგად ბიუჯეტი სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში აითვისეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ყველაზე დიდი ათვისება ბიუჯეტის მხრივ აღენიშნება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს და გურიას.

მისივე თქმით, არიან ქალაქები და გამგეობები, რომლებმაც ძალიან კარგად და ეფექტიანად იმუშავეს და თანხები ეფექტურად აითვისეს.

„კახეთის რეგიონში მინდა გამოვყო რამდენიმე მათგანი, თელავი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, მათ აქვთ ათვისება93–94%-ის ფარგლებში. სამცხე -ჯავახეთში გამოვყოფ ახალქალაქს, ახალციხეს, ბორჯომს და ადიგენს, მათი ათვისება95%-ის ფარგლებშია, იმერეთში - ბაღდადი, ხარაგაული, თერჯოლა, საჩხერე, ხონი და ჭიათურა, მათ ასევე კარგი ათვისება აქვთ, ასევე კარგი მაჩვენებელი აქვთ ქვემო ქართლში დმანისის მუნიციპალიტეტს, წალკას, ბოლნისს და მარნეულს, სამეგრელოს მუნიციპალიტეტსა და ზემო სვანეთში აქვს 100%-იანი ათვისება ხობის მუნიციპალიტეტს, ასევე სენაკს, აბაშას და ზუგდიდს, იგივეა გურიაში, ჩოხატაური, ოზურგეთი, და აჭარაში შუახევი, ხელვაჩაურს აქვს 99%-იანი ათვისება, ხულოში კი 98%. შიდა ქართლში მინდა გამოვყო კასპის მუნიციპალიტეტი, დანარჩენ რაიონებს აქვთ უფრო დაბალი მაჩვენებელი და მინდა ეს სასწრაფოდ გამოასწოროთ წელს. თიანეთში არის მაგალითად 90%, რაჭა -ლეჩხუმსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში 94%, ხოლო დანარჩენებს ჩამორჩენა აქვთ, ეს მაჩვენებელი არის 70%-ზე ნაკლები“,–განაცხადა პრემიერმა და გუბერნატორებს და გამგებლებს მეტი ინიციატივებისკენ მოუწოდა.

„მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ქვეყანა პრობლემებს გაუმკლავდეს“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ქვეყანა გაუმკლავდეს პრობლემებს და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს რეგიონში მიმდინარე რთულმა პერიოდმა. მთავრობის მეთაური გამოეხმაურა სტატისტიკურ ინფორმაციას, რომლის მიხედვით საქართველოში 2014 წელს 2013 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა.

„ეს იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რეგიონში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, რაც პრაქტიკულად შეეხო ყველას, მათ შორის საქართველოს. სწორედ ამ ფონზე არის განსაკუთრებით აღსანიშნავი ინვესტიციების შემოსვლის ზრდის ტენდენცია. ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდება ნდობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენი მთავრობის მიმართ“, – აღნიშნა პრემიერმა.

მისივე განმარტებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 39 პროცენტით აღემატება 2013 წლის წინასწარ მონაცემებს.

„გამოიკვეთა სამი უმსხვილესი სექტორი, რომლის წილმა 2014 წელს 64 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 343 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27 პროცენტია. მეორე ადგილზეა მშენებლობა 295 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე–გადამმუშავებელი მრეწველობა 174 მლნ აშშ დოლარით. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის IV კვარტალში 349 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებს აღემატება 61 პროცენტით“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა გასული წელი პოზიტიურად შეაფასა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. „გასული წელი მართლაც პოზიტიური იყო, ზრდა პრაქტიკულად ყვლა სექტორში დაფიქსირდა. ჩვენ გვაქვს კონტაქტი ბიზნესმენებთან, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული წელი იყო ყველაზე წარმატებული მათთვის, ყველაზე მეტად შემოსავლიანი წელი იყო. მაგრამ, მოდით თვალი გავუსწოროთ იმ რეალობას, რომელიც დღეს რეგიონში არის მთლიანად, ასევე ევროპა განიცდის კრიზისს. ჩვენ უნდა სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსახლეობას. ტელევიზიების დიდი ნაწილი ხელს უწყობს იმას, რომ განსხვავებულად წარმოაჩინოს რეალობა“,–აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მანვე ფინანსთა მინისტრისგან მოისმინა ინფორმაცია ბიუჯეტის კორექტირებასთან დაკავშირებით.

მოქალაქეებისთვის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 2014 წლის მსგავსად, 2015 წელსაც ძალაშია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 1 აპრილიდან მოქალაქეები, რომლებსაც დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება სურთ, დეკლარაციის შევსებას შეძლებენ. დეკლარაციის შევსება როგორც ინტერნეტის, ასევე საბანკო დაწესებულებების საშუალებითაა შესაძლებელი. საბანკო დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც მოქალაქეები დეკლარაციას შეავსებენ, ასეთია: სს ბანკი „რესპუბლიკა“; სს „პრივატბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზისბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „კორსტანდარტ ბანკი“; სს „ბანკი კონსტანტა“; სს „ფინკა ბანკი საქართველო“; სს „ბითიეი ბანკი“; სს „ვითიბი ბანკი“.

1 აპრილიდან, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge განთავსებულ დეკლარაციაში მხოლოდ პირადი ნომრის მითითებით პირს შეუძლია აღმოაჩინოს, სარგებლობს თუ არა დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და, შესაბამისად, თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებით.

დაუბეგრავი მინიმუმი ვრცელდება იმ ფიზიკურ პირზე, რომლის მიერ 2014 წელს მიღებული დასაბეგრი ხელფასი არ აღემატებოდა 6000 ლარს. მაგალითად, თუ ფიზიკური პირის მიერ 2014 წელს დარიცხული ხელფასი შეადგენს 6000 ლარს და მან საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი თანხა მიიღო 4800 ლარი (6000-6000*20%) უფლებამოსილია ისარგებლოს დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით.

ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქის მიერ დეკლარაციაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბრუნდება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა „დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ“ დეკლარაციის რეგისტაციიდან 3 თვის განმავლობაში.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პრესსამსახურის უფროსი bpn.ge-სთან საუბრისას მოქალაქეებს შეახსენებს, რომ დეკლარაციის შევსება უნდა მოხდეს არაუგვიანეს, 2015 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებისა. იმ შემთხვევაში კი, თუ მოქალაქე ვერ ახორციელებს დეკლარირებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ დაუბეგრავი მინიმუმი ეკუთვნის, საკითხის გარკვევის მიზნით, მან უნდა მიმართოს დამქირავებელს. უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი პერიოდის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარდგენილი შესაბამისი ფორმები დააზუსტოს.

„ვაფასებ ევროკავშირის მხარდაჭერას რეგიონის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“

საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ევროკავშირს მოუწოდებს, კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ჩართულობა რეგიონში უსაფრთხოების ხელშეწყობის და ევროპული არჩევანის მიზნით.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა სამმხრივი შეხვედრის ფარგლებში უკრაინის და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, სამივე ქვეყანა აფასებს ევროკავშირის მხარდაჭერას ევროპული არჩევანის გზაზე.

„ვაფასებთ ევროკავშირის მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისადმი და ასევე რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასევე, ვიმედოვნებთ და მოვუწოდებთ ევროკავშირს, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ჩართულობა ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოების ხელშეწყობით და ევროპული არჩევანის მიზნით“,–განაცხადა ბერუჩაშვილმა.

ამასთან, როგორც თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას აქვს საერთო გამოწვევები, რომლის წინაშეც სამივე ქვეყანა ევროპული არჩევანის გამო დადგა.

„იმ საგარეო გამოწვევების ფონზე, რომლის წინაშეც სამივე ქვეყანა დადგა თავისი ევროპული არჩევანის გამო, ჩვენი ერთიანობა მნიშვნელოვანია. ეს არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ყირიმის ანექსია, გაყინული კონფლიქტი დნესტრისპირეთში, რომელიც წარმოადგენს რუსეთის აშკარა მცდელობას, ამ ქვეყნებმა უარი თქვან თავის ევროპულ არჩევანზე“, - განაცხადა ბერუჩაშვილმა.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები სამმხრივი შეხვედრის ფარგლებში საქართველოში იმყოფებიან, რომლის მიზანი ასოცირების დღის წესრიგში არსებული აქტუალური საკითხების განხილვაა.

ინტერვიუ

ღირებულებები საქმიანობაში აისახება

ედიშერ ჯოგავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

1

ეს იმ ცხრაწლიანი მმართველობის შედეგი იყო, რომელსაც ჰქონდა ადგილი. წინა ხელისუფლების ცვლილების საქმეში. მეც, ჩემს გუნდთან ერთად, მოკრძალებული წვლილი შევიტანე, ამ გზაზე, სანამ ცვლილებები მოხდებოდა, არაერთი შემოთავაზება გვქონდა მე და ჩემს თანამებრძოლებს, სხვადასხვა თანამდებობებზე, ოპოზიციური დამოკიდებულების შეცვლის სანაცვლოდ, მაგრამ ჩვენ, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირადი კეთილდღეობა არ დაგვიყენებია. გუნდურად ვმოქმედებდით რაიონის დონეზეც და საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნებიც წარმატებით წარვმართეთ. შესაბამისად, ნაბიჯი, რომელიც პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გადამიდგამს, ყოველთვის იყო საკუთარი სინდისით ნაკარნახევი და გადაწყვეტილებაც მიმიღია ყოველთვის თანამებრძოლებთან კონსულტაციით.

გქონიათ თუ არა რამენაირი ურთიერთობები „ნაციონალურ მოძრაობასთან“, შეიძლება თუ არა როდესმე წამოგაძახონ „ყოფილი ნაციონალი“

–ამ პარტიასთან, კრიტიკული დამოკიდებულების გარდა, არაფერი მაკავშირებდა და არ მაკავშირებს. მისი პოლიტიკურ ველზე გამოჩენის დღიდან. არც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მოტრფიალე ვიყავი და ამის გამო ხშირად მიმიღია საყვედური ზოგიერთების მხრიდან, თუმცა დრომ გვაჩვენა, რომ მართალი ვიყავი. ვთვლი, რომ პოლიტიკური საქმიანობის საკმაო გამოცდილებით სწორი ანალიზის უნარი ჩამომიყალიბდა (ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე).

ხართ თუ არა „შემთხვევით მოსული“ პირი ხელისუფლებაში? თანამდებობაზე მოსვლა თქვენი დაჟინებული სურვილი იყო თუ ეს საკითხი გუნდური პრინციპით გადაწყდა?

–ჩემს პოლიტიკურ წარსულს ვინც იცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ კომფორტული გზით სიარული ჩემი მოქმედების სტილი არასდროს ყოფილა. ამაზე ნაწილობრივ ვისაუბრე კიდევაც, ბევრი ტკივილი, დარტყმა და წინააღმდეგობა გადამილახავს, როგორც მე, ასევე ჩემს ოჯახს, მაგრამ სიმართლის იმედი ყოველთვის მქონდა, მჯეროდა, რომ გაიმარჯვებდა გუნდი, რომელიც არის ძალა პოლიტიკაში და თუ ამ გუნდში უმრავლესობა ხალხისადმი სიყვარულით, პროფესიონალიზმით გამოირჩევა, მაშინ კიდევ უფრო დიდი ძალაა. შესაბამისად ჩვენს საქმიანობას და მუშაობას გუნდური პრინციპებისადმი პატივისცემა განაპირობებს და არა „შემთხვევითობები და დაჟინებული სურვილები“. ამ თემით განსაკუთრებულად დაინტერესებულებს, (ასეთებიც არიან სამწუხაროდ) მინდა შევახსენო, რომ ჩემი პოლიტიკური აქტივობა 1998 წლიდან იწყება და 17 წლიანი საქმიანობა თუ „შემთხვევითობაა“ საზოგადოებამ განსაჯოს.

როგორ ანალიზს გაუკეთებდით, თქვენი მოსვლის შემდეგ, ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობას, შეიცვალა თუ არა იგი 2013 წლიდან დღემდე, ციფრობრივი მაგალითების საშუალებით გვითხარით კლებულობს თუ მატულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი?

–ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობა ნორმალურია და შესაბამის ანალიზსაც გავაკეთებ. ყველასთვის ცნობილია, რომ ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია ყულევის ტერმინალიდან ქონების გადასახადის 1 700 000 ლარით შემცირებით, რაც განპირობებულია საერთაშორისო აუდიტის მიერ ტერმინალის ქონების გადაფასებით. სხვა მხრივ ბიუჯეტის შესრულებასთან მიმართებაში პრობლემები არ არის.

2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი (საწყისი) იყო 6586,0–საბოლოო 9860,4 ლარი;

2013 წელს იყო 6046,1–11950,8;

2014 წელს 5894,4-8703,1;

2015 წლისთვის საწყისი ბიუჯეტი 6433,9 ლარია, მაგრამ საბოლოოდ უნდა გახდეს 11 000 000-მდე, ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტს დაემატება ტრანსფერები: დელეგირებული, გათანაბრებითი, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტის, რეგიონალური განვითარებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ფონდები. ასე, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მდგომარეობა, ნამდვილად, არ იძლევა სასპეკულაციო თემებისთვის საბაბს.

როგორც საკრებულოს ყოფილმა წევრმა, ვიცი, რომ საკრებულოს რიგითი დეპუტატის საქმიანობა ანაზღაურებადი არ არის. ადრე ეძლეოდათ 40 ლიტრი საწვავი და 30 ლარის სასაუბრე ბარათი, ხომ არ შეიცვალა მიდგომა, დღეს რა სახის ანაზღაურება ეძლევათ მათ, როცა ისინი მოდიან დეპუტატებად, უნდა იცოდნენ თუ არა ეს?

–როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) საქმიანობა არც წინა თვითმმართველობისას და არც დღეს არსებული კოდექსით ანაზღაურებადი არ არის. ეს კანონით რეგულირდება. აქ საუბარია დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაზე. ანუ იმ საქმიანობის ეფექტურად წარმართვაზე, რასაც არჩეულ პირს კანონი უსაზღვრავს. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის (გარდა თანამდებობის პირებისა), უფლებამოსილების განხორციელებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით. ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს წინამორბედ საკრებულოს წევრებს ჰქონდათ. ესაა ის, რის საშუალებასაც ჩვენი ბიუჯეტი და კანონი იძლევა. ამ ცვლილების საფუძველია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (№44, 2014 წლის 23 დეკემბერი) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირების) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

თქვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გაეზარდა თუ არა სახელფასო სარგოები საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს, ფრაქციათა ხელმძღვანელებს, გამგეობის სამსახურის უფროსებს და ასე შემდეგ?

–სამწუხაროდ არა, თუმცა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული მომავალში დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი დადგეს.

ამბობენ, რომ გასულ წლებთან შედარებით, გაიზარდა გამგეობისა და საკრებულოს ხარჯები (იგულისხმება ყველა სახის). რას გვეტყვით ამაზე?

–სინამდვილეში ეს ასე არ არის. უფრო მეტსაც გეტყვით, მინდა ეს ყველამ იცოდეს, რომ საკრებულოს აპარატში თუ ადრე 16 საშტატო ერთეული იყო, დღეს იგი 14-ით განისაზღვრება. ჩემი და ბიუროს წევრების ტელეფონის ლიმიტი შემცირდა, პირადად მე ავტომობილზე, რომელიც ემსახურება საკრებულოს თავმჯდომარეს, საწვავის ლიმიტიც 150 ლიტრით შევამცირე. ასე, რომ ეს არის რეალობა.

ხომ არ შეგიძენიათ ახალი სამომსახურეო ავტომანქანები, თუ არა, მაშინ გვითხარით, როდის არის ისინი შეძენილი და ხომ არ აპირებთ მათ გამოცვლას?

–რა თქმა უნდა, არ შეგვიძენია, ამ ავტომანქანებით სარგებლობდნენ წინა ხელისუფლების მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და ვსარგებლობთ ჩვენც, როგორც აქამდე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ საკუთრებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობა არასახარბიელოა, მათ გამოცვლაზე საუბარი არაა.

2015 წლის ბიუჯეტს თქვენ სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული უწოდეთ. რას ითვალისწინებს იგი ამ კუთხით, და მაშინ, როცა უკვე მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რატომ აფინანსებთ შეჭირვებულთა ოპერაციის ხარჯებს?

–სოციალური სფერო პრიორიტეტულია არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, არამედ ჩვენი ხელისუფლებისთვისაც.

მართალია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არსებობს, მაგრამ, მოგეხსენებათ, საოპერაციო დახმარების პაკეტი 70%-იანი დაფინანსებაა, როცა ძვირადღირებულია ოპერაცია, უმწეო კატეგორიის ოჯახებს იმ 30%-ის გადახდის საშუალებაც არა აქვთ, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეხმარებით, შესაძლებლობის ფარგლებში, თანადაფინანსებით. ეს დიდი შეღავათია შეჭირვებული მოსახლეობისთვის.

საკრებულოში შექმნილია უმრავლესობის ფრაქცია, თავის დროზე რა კრიტერიუმებით გაერთიანდნენ დეპუტატები, არის თუ არა სურვილებისა და მიზნების თანხვედრა და ხომ არ ემუქრება ფრაქციას დაშლის საშიშროება?

–თქვენ ალბათ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ გულისხმობთ, თუმცა, სხვა ფრაქციის წევრებთანაც აზრთა თანხვედრაა. ხშირ შემთხვევაში, ეს განპირობებულია ჩვენი მუშაობის ტრანსფარენტულობით. რაც შეეხება ჩვენს ფრაქციას, მას ჰყავს კარგი ხელმძღვანელი და საერთოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ერთიანი გუნდით მოვედით. ამავე პრინციპით ვხელმძღვანელობთ და გათავისებული გვაქვს პასუხისმგებლობა, რომელიც დაგვაკისრა ჩვენმა მოსახლეობამ. კრიტერიუმი, რომლითაც შეირჩა ეს გუნდი, იყო ამა თუ იმ დარგში მათი გამოცდილება, პატრიოტული სულისკვეთება და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანობისთვის. მინდა ვთქვა, რომ გამგეობასთან ერთად, ჩვენი გუნდი მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის რაიონის საკეთილდღეოდ, სამხარეო და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით.

„არაფერია გადაწყვეტილების მიღებაზე უფრო ძნელი, და მაშასადამე, უფრო ძვირფასი“–ამბობდა ნაპოლეონ ბონაპარტი, როგორი გადაწყვეტილებების მიღება გიჭირთ, რომელ ეთიკურ დილემასთან გიხდებათ რეგულარულად შეჯახება, რის გამოა რთული გადაწყვეტილებების მიღება?

–როდესაც გადაწყვეტილება მისაღებია, რა თქმა უნდა, უნდა მივიღოთ, თუ ეს სამართლიანობის პრინციპით იქნება განპირობებული, მით უმეტეს, თუ ამას საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება უდევს საფუძვლად, ამიტომაც არის გადაწყვეტილების მიღება „რთული და ძვირფასი“. ნაპოლეონის ნათქვამს დავამატებდი უძველეს ლათინურ ფრაზას–„კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია!“ გასაგებია, რომ ყველა ვერ იქნება ყოველთვის კმაყოფილი. უკმაყოფილო ხშირად ხმაურობს და შეიძლება, გარკვეულ წრეში საზოგადოებრივი აზრიც შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი შეიძლება მცდარი იყოს. ამას ისინი ახერხებენ იმ ადამიანებზე დაყრდნობით, ვისაც, გაუცნობიერებლად, ეჩქარება და მოითხოვს ყველაფერი ერთბაშად, უმოკლეს დროში განხორციელდეს... სწორედ ამ კატეგორიის ადამიანებიდან მოდის ხშირად ნეგატივი, თუმცა რას ვიზამთ... ასეთია რეალობა და ჩვენ ასეთ გამოწვევებს ადეკვატურად უნდა ვუპასუხოთ.

უმოქმედია თუ არა უნივერსალური ღირებულებების გათვალისწინებას თუ გაუთვალისწინებლობას თქვენს საქმიანობაზე და პირად ცხოვრებაზე?

–ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინება, აუცილებლად, აისახება საზოგადოებრივ საქმიანობასა თუ პირად ცხოვრებაზე პოზიტიურად, ხოლო გაუთვალისწინებლობა–ნეგატიურად. ამას საზოგადოება დაუყოვნებლად შეამჩნევს და არ გაპატიებს... მართალიც იქნება! ჩემს პირად ცხოვრებას, ნამდვილად, ბევრი დააკლდა ჩემი უანგარო და რთული პოლიტიკური საქმიანობის გზაზე, თუმცა, ზედმეტი პათეტიკის გარეშე, მინდა გითხრათ, ყველაფერი ეს გათავისებული მქონდა და არ ვნანობ, მთავარია, დღეს ყველაფერი გავაკეთო „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, რათა ჩვენი საქმიანობა მოსახლეობაზე დადებითად აისახოს.

როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ზოგადად „ხობელობა“, ვინ შეიძლება იყოს „ნაღდი“ ხობელი. მიგაჩნიათ, რომ ხობელობა მხოლოდ თანამდებობაზე მომუშავეთა სტატუსია, თუ იგი ხობის რიგითი მოქალაქეც შეიძლება იყოს?

–ამ შეკითხვით, ნამდვილად, გამაკვირვეთ! როგორ შეიძლება „ხობელობა“ მხოლოდ თანამდებობაზე მომუშავეთა სტატუსი იყოს! ხობელობა იგივე ქართველობაა, მამულიშვილობაა, ოღონდ ჩვენს პატარა კუთხესთან, ხობთან მიმართებაში, რომელიც ნებისმიერი ხობელისთვის ღირსეული მოვალეობაა–გაიღო მაქსიმუმი საკუთარი შესაძლებლობისა მშობლიური კუთხის საკეთილდღეოდ. თანამდებობა კი, შეიძლება, იძლევა მეტ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებლად ღირსეული საქმეების საკეთებლად უნდა გამოიყენო.

ესაუბრა
მანანა შულაია.

დედა, სიცოცხლის დიდი საწყისო!

მეიმედებით, მრავალჟამიერ!..

მერი აბრამია–თითქმის ყველა ხობელის ნაცნობი და ახლობელი, ბევრის მასწავლებელი თუ მოყვარე, მეზობელი თუ მეგობარი. ბევრჯერ მოხიბლულა ხობელები თქვენი წიგნებით–მოთხრობებითა და ლექსებით, სიმღერებითა თუ სადღეგრძელოებით... დღესაც, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, მხნე და მომხიბვლელი, საოცრად თბილი და ლამაზი ღიმილით გამოირჩევით. მიხარია, რომ ჩემი ახლობელი ხართ.

თქვენზე და თქვენს ლამაზ ოჯახზე, წურწუმიების ისტორიაზე, წლების წინათ, გაზეთის მთელი გვერდი მოგიძღვენით. ამის საშუალება თქვენმა განვლილმა წლებმა, ნიჭმა და სამსახურებმა გამაბედვინა. ვგონებ, ძალიან მოგეწონებოდათ.

მიხარია, რომ არსებობთ, რომ ჩემი დედის მხრიდან–წურწუმიების იმ დიდი ოჯახიდან ბრძანდებით, როგორც რძალი, სადაც დედაჩემი, ერთი პატარა ტანის ლამაზი ქალბატონი დაიბადა. ამიტომაც ძალიან მიყვარხართ და მეიმედებით.

ხშირად მიფიქრია და ახლა პირველად გეუბნებით, რომ თქვენ იმ ოჯახის უკანასკნელი „მოჰიკანი“ ბრძანდებით. მინდა წლებმა უთვალავჯერ დაგათოვოთ, იყოთ ასე შემოქმედი, ნიჭით, ჭკუითა და გონებით დახუნძლული, მუდამ ასე მომღიმარი, მოალერსე და ხმატკბილად მოსაუბრე. მომნატრებია თქვენს მიერ წაკითხული თქვენეული ლექსები, თქვენი ნამღერი სიმღერები თუ საერთოდ, თქვენი მოსმენა, თქვენთან საუბარი. გაზეთში ერთად მუშაობისას თქვენგან ბევრი რამ ვისწავლეთ მე და ჩემმა კოლეგებმა. გვეწყინა, რომ მიგვატოვეთ და წახვედით. თუმცა, თბილისი თქვენი მეორე ქალაქია, სადაც ბევრი რამ გიკეთებიათ და ახლაც აკეთებთ თქვენთვის, თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ჩვენთვის, ყველასთვის.

მერი აბრამიავ! (ბიცოლა, მე მუდამ ასე მოგმართავთ) ათეული წლები უკან მოიტოვეთ და ღირსეულად. წლებმა კი არ მოგტეხათ, პირიქით, უფრო გაგაძლიერათ და უფრო ტიტულოვანი გაგხადათ. ორიოდე წელია გახდით საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ეროვნულ-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი, ილია მართლის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პრემიის ლაურეატი...

ამ რამდენიმე ხნის წინ კი გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემიისა და „ქართული ელიტის წლის პოეტის“ წოდება მოგენიჭათ. მახარებს თქვენი ყოველი წარმატება. ალბათ, მალე თქვენი ახალი სქელტანიანი წიგნიც გამოვა. მაოცებთ და მახარებთ თქვენი მიღწევებით, გონებრივი შესაძლებლობებით.

გაზაფხული შემოვიდა თქვენს ხობში, თეთრად ისევ აყვავდნენ ტყემლები, მალე ატმის ხეებიც ავარდისფერდებიან. ფურისულები, იები, ყოჩივარდები და ნარცისები ალამაზებენ მიდამოს, მიმოზამ ყველას მოასწრო აყვავილება, ალბათ თბილისშიც იგრძნობა გაზაფხული!..

ვიცი, რომ გიყვართ სილამაზე, მომხიბვლელი გარემო, თქვენსავით ლამაზი და ეშხიანი. მარტი ხომ ქალთა თვეა. ათიათასობით დედასთან და ქალთან ერთად გილოცავთ ამ ლამაზ და სასურველ დღეებს. წლების სიმრავლე, ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა უთვალავჯერ დაგბედებოდეთ.

მეამაყებით, მეიმედებით, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!!!

ნანი კილასონია

საოცარი ქალი

ამბობენ, გაზაფხული ქალს ჰგავსო, მარტი ქალების თვეა–მასავით ჭირვეული, ჭრელი, თბილიც და ცივიცო... და რადგანაც უკვე მარტია, გადავწყვიტე დამეწერა ქალზე. ჩემს მეხსიერებაში ძალიან ბევრი ღირსეული ქალბატონის სახე ამოტივტივდა, მათგან ერთზე შევაჩერე არჩევანი და მას „ქალი-გაზაფხული“ ვუწოდე, რადგან სწორედ ასეთად ვიცნობ ქალბატონს, რომელიც ძალიან მიყვარს.

ქალბატონი კლარა ქირია, დიდი და ტრადიციული ოჯახის დედაბოძი, თამარ ჩაგვავას ოჯახური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. ხობელებს კარგად ახსოვთ ლენინგრადიდან ახალჩამოსული, ახალგაზრდა გინეკოლოგი. ლამაზი, მოხდენილი, ჰაეროვანი ქალბატონი, რომელიც იმთავითვე შეიყვარეს ხობელებმა, განსაკუთრებით კი ვოვა (ვლადიმერ) ქანთარიამ, და ეს სიყვარული, რა თქმა უნდა, ქორწინებით დამთავრდა.

ქალბატონი კლარა ბედნიერებისთვისაა დაბადებული. სამსახურში და ოჯახში პრობლემებს არ ქმნის, ყველა გასაჭირს მშვიდად უყურებს, ხშირად იყენებს პატრიარქის სიტყვებს–თუ წაიქცევი უნდა ადგე და ცხოვრება გააგრძელო. საოცარია–არც ოჯახში და არც სამსახურში არასოდეს ჰქონია კონფლიქტები და კრიტიკული პერიოდები. იგი საპასუხისმგებლო, ამავე დროს ძალზე საინტერესო საქმეს აკეთებს–ღებულობს პაციენტებს, მკურნალობს და რჩევებს აძლევს ქალებს, როგორ მოუარონ ახალ სიცოცხლეს, თვითონაც ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა ახალი სიცოცხლის დაბადების, ...და რა უნდა იყოს ამაზე უფრო ძვირფასი და აღმატებული–უყურებდე თუ როგორ ევლინება და იბადება ახალი ადამიანი სამყაროში.

კითხვაზე რა არის ქალის ბედნიერება?–იგი მოკრძალებით პასუხობს, რომ ბედნიერების შეგრძნება ინდივიდუალურია ყველა ქალბატონისთვის. თავად?

ძალიან ბედნიერია! არის სუფთა და მშვიდი ქალი, რომელსაც უყვარს ყველა და ყველაფერი, უხარია და უყვარს ცხოვრება, ყველაფერს სიყვარულით აკეთებს, არ არის ეჭვიანი, არაფერს ზედმეტს არ ითხოვს, სურს შეინარჩუნოს ის, რაც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე აქვს. რასაც უფალი გაიმეტებს, იმას უფრთხილდება.

კლარას სამსახური დიდ დროსა და ემოციას მოითხოვს, ნიჭიერად და შეგნებულად ანაწილებს ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს. დროის უმეტეს ნაწილს აუცილებლად ოჯახს უთმობს. ქმარ-შვილი მისთვის ყველაფერია, მაშინ, როცა მისი ერთადერთი ქალიშვილი ანი, რომელიც ასევე წარმატებული მოსწავლეა სკოლაშია, თვითონ სამსახურის საქმეებს აგვარებს, მერე მხოლოდ ოჯახისთვისაა.

თუმცა არსებობს გამონაკლისებიც–ღამის საათებში გამოძახება, მშობიარე ქალბატონებთან ერთად ღამისთევა და მერე გამარჯვების დიდი განცდა, რომ იშვა ახალი სიცოცხლე.

ცხოვრებაში ყველაფერი ზომიერი უყვარს–ნებისმიერ სიტუაციაში და მდგომარეობაში. ეს სიმშვიდის საფუძველს აძლევს, სიმშვიდეზე დიდი ბედნიერება კი არაფერია. გააჩნია პრობლემების გადაჭრის საკუთარი მეთოდი–მოთმინება, სიჩუმე და სიმშვიდე. არავითარ შემთხვევაში ცხელ გულზე არ იტყვის არაფერს, მით უმეტეს არ იღებს გადაწყვეტილებებს. ერთი სიტყვით, კლარა ქირია არის ქალი, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა, რა დოზით, რას აკეთებს, რატომ, ვისთვის, და რას მოელის გარშემომყოფთაგან. ქალი, რომელიც ბედნიერების ოქროსფერ საზღვარზე დგას.

ქალბატონო კლარა! გილოცავთ გაზაფხულის და მასთან ერთად დედისა და ქალთა დღის შემობრძანებას, იყავით მუდამ ბედნიერი, ღიმილიანი და სათნო, წარმატებული ექიმი, კარგი დედა და მუდამ შეყვარებული მეუღლე. როგორც პოეტი ამბობს, ისეთი:

„საოცარი დალი, საყვარელი თვალი,
ბზარ-გამთელებული, კეთილი ჯადოქარი,
სამოთხის ქალი, ევას დასადარი
ქალი, ქალი, ქალი
გულის გასახარი!“

მანანა შულაია

ადამიანი და სოფელი

სჭირდებათ, ეიმედებათ!

„შეუძლებელია ყოველთვის იყო გმირი, მაგრამ ყოველთვის შეიძლება დარჩე ადამიანად“.–გოეთეს ეს სიტყვები უთუოდ შეესაბამება იმ ადამიანს, რომელზედაც მინდა გიამბოთ. იგი გახლავთ ქალბატონი, ჩვენი დროის „გმირი“, სოფლის დასტაქარი, ღვაწლმოსილი მედიკოსი, სათნო და კეთილი, სითბოთი და სიყვარულით სავსე, ტრადიციული, ლამაზი ოჯახის ბურჯი, სამაგალითო დედა და ბებია **ეთერ დარჯანია**.

მის მხრებზე თითქმის შვიდ ათეულ წელს დაუთოვია, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად გამომზირალი, დღემდე ქარიშხალივით დაქრის. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულს „სოფლის ექიმს“, (ასე ეძახიან მას) ყველგან და ყოველთვის სიხარულით ელიან. მისი გული ხალხისადმი სიყვარულთაა აღსავსე. სოფლის მოჭირნახულე ქალბატონს რამდენი დღე და ღამე უთენებია ავადმყოფის სასთუმალთან. ყველას ჭირსა და ლხინს ალალად იზიარებს, ყველგან სიკეთეს თესავს. სოფელი ბრძენია და შეფასებაში არ ცდება, შემთხვევით არ არის, რომ მას სოფელ ჭალადიდის სულსა და გულს უწოდებენ. დედაშვილური დამრიგებლობით, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული, მეზობლებთან ურთიერთობაშიც სამაგალითო და მისაბაძია. მისი პროფესიიდან გამომდინარე, ზარები არ წყდება სახლსა თუ სამსახურში, ყველგან „ეპატიჟებიან“ და ელიან, სადაც სჭირდებათ რადგან ეიმედებათ.

დიახ, ამაყად დააბიჯებს სოფელ ჭალადიდში წლებით დამშვენებული ქალბატონი, ღვაწლმოსილი მედიკოსი და დასტაქარი, სოფლის კოლორიტი და ცხოვრობს აქტიური ცხოვრებით, აგრძელებს თავის საყვარელ საქმეს. მუდამ მოფუსფუსეს და ხალისისანს საამაყო შვილებისა და შვილიშვილების მასპინძელს, ყოველთვის მზად აქვს ქართული სუფრა.

ქალბატონო ეთერ!

გილოცავთ მარტის დიდებულ დღესასწაულს და გისურვებთ კვლავ დიდხანს ამაყად გეტარებინოთ ჭეშარიტად მისაბაძი ადამიანის, სათაყვანებელი დედის, გულთბილი სიდედრისა და მოსიყვარულე ბებიის ტიტულები.

ნაირა ბერაია

დედა, სიცოცხლის დიდი საწყისო!

„მსურს ხალხის მაღლიერება დავიმსახურო“

ლამაზი და მშვენიერი ბავშვობა მქონდა. დავიბადე ქალაქ რუსთავში, მაგრამ მთელი ჩემი ბავშვობა სკოლის პერიოდი და შემდეგი წლები ხობთან ასოცირდება. ხობი, ეს ჩემი ბავშვობა და ლამაზი წლებია. მიყვარს და სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის მეყვარება. ხობი–ქარიატა მამაჩემის ოდაბადეა. მეამაყება, რომ ვარ ძალიან კარგი მშობლების შვილი. მათ, მე და ჩემს ერთადერთ დას, ეკას მთელი სიცოცხლე გვანაცვალეს. არაფერი დაუკლიათ ჩვენი კარგი მომავლისთვის. მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ. მამა, აჩიკო შამუგია–ელექტროინჟინერია, დედა, ნარგიზა დარსალია–მეაბრეშუმე აგრონომი. დღეს ისინი არ მუშაობენ, პენსიონრები არიან. მაგრამ ჩემთვის მუდამ ახალგაზრდები და უსაყვარლესი ადამიანებია, რაც ძალას მმატებს და ცხოვრებას მილამაზებს,–მიყვება ჩემი რესპოდენტი **მაია შამუგია**.

ვინ არის მაია შამუგია? ის ხობელია. ამჟამად პირველ მაისში ცხოვრობს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად და სოფლის ექიმის სტატუსით ემსახურება თემში მცხოვრებ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას. მისთვის ყოველი დღე პაციენტების მიღებაში, საჭიროების შემთხვევაში მწოლიარე პაციენტთა მონახულებაში, მათ დახმარებაში, პატარების აცრებსა თუ მათზე ზრუნვაში იწყება და მთავრდება,–ეს ჩემი უპირველესი მოვალეობაა, აცხადებს იგი. მე ჰიპოკრატეს ფიცი დავდევი, რომ ხალხის ჯანმრთელობა დავიცვა. ამდენად, როგორც ამ ფიცის ერთგული, ვიცავ მას.

მაია, ექიმობა რთული მისიაა. ამ პროფესიის დაუფლება თავად გსურდათ თუ?..

–სკოლის ასაკში გამორჩეულად მიყვარდა ბიოლოგია, მათემატიკა, გეოგრაფია... მიოცნებია მასწავლებლობაზე, მიყვარდა ბავშვებთან მუშაობა, მიფიქრია აქეოლოგობაზე, მომწონდა ექსპედიციები და მოგზაურობა, მაგრამ მშობლების რჩევით ექიმის პროფესია ავირჩიე. როცა სამკურნალო ფაკულტეტი დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, ვიფიქრე და დავრწმუნდი, რომ ეს ჩემი კარგი არჩევანია. თურმე მოწოდებით ექიმობა მინდოდა. ამჟამად პირველი მაისის საექიმო უბანში ვარ, როგორც სოფლის ექიმი. 2008 და 2009 წლებში გავიარე საოჯახო მედიცინისა და შინაგანი მედიცინის კვალიფიკაცია და გავხდი სერთიფიცირებული ექიმი. მინდა გავუმართლო სოფელს, ჩემს თავს, მშობლებს, ოჯახს და თავი არ შევირცხვინო. მსურს ხალხის მადლიერება დავიმსახურო.

მინდა თქვენს ოჯახზე და თქვენს მოვალეობებზე მესაუბროთ, როგორ უთავსებთ ერთმანეთს სამსახურსა და ოჯახურ საზრუნავს?

–ჩემი მეუღლე თენგო ბუკია გახლავთ. ის მოსკოვში მუშაობს, მაგრამ ჩვენთან ხშირადაა. ჩემი სამსახური და პროფესია ბევრს მავალებს, მაგრამ ოჯახს ძალიან დიდი ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება. რომ არა, საოცრად კეთილშობილი და მშრომელი დედამთილ-მამამთილის დახმარება, გამიჭირდებოდა, მათი წყალობით ყველაფერს ვასწრებ.

უფროსი ვაჟი ნიკოლოზი (ნიკუშა) მესამე კლასშია. ძალზე აქტიური და ნიჭიერი ბავშვია, განსაკუთრებით მათემატიკა უყვარს. იზიდავს ჭადრაკი, ის მისი გატაცებაა, კარგად თამაშობს. როგორც მისი პედაგოგი მამუკა გეთია ამბობს, მომავალი დიდ წარმატებებს უქადის. ბევრ ტურში მონაწილეობდა და წარმატებითაც. ცეკვაზე და ინგლისურზე დადის, კომპიუტერს ნუ იტყვით...

პატარა ვაჟი–გიორგი ორი წლისა და 8 თვისაა. ის ბებოს შვილობილია. ასე, რომ ბედნიერი დედა და მეუღლე ვარ.

რას იტყოდით საექიმო ამბულატორიაზე?

–ჩვენს სამედიცინო ამბულატორიას ცალკე შენობა არ გაჩნია, შეკედლებულები ვართ სოფლის საკრებულოს ოფისს. მყავს საუკეთესო მედდა დოდო ტყებუჩავა, მოწესრიგებული გვაქვს ყველა ის დოკუმენტი, რაც ავადმყოფთა მიღებისთვისაა საჭირო. პაციენტებს ჩემგან არავითარი შეფერხება არ აქვთ. პატარა პაციენტთა ანკეტებიც წესრიგშია. ბავშვთა აცრები ნორმალურად, ვადების დაცვით კეთდება. პირველი მოხმარების მედიკამენტებითაც გვამარაგებენ. ავადმყოფებს ხან თვითონ ჩემით, ხან მათი ოჯახის ავტომანქანების დახმარებით ვემსახურები. ამბულატორიაში ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი. დაახმარებას მპირდებიან და მჯერა, პაციენტთა კარგად მომსახურებაში ხელს შემიწყობენ.

ვცდილობ, ოჯახი და სამსახური ერთმანეთს შევაჯერო. ხშირად არასამუშაო დღეებშიც დავდივარ პაციენტებთან, ბევრჯერ, პატარა უმწეო შვილიც დამიტოვებია შინ, მათ გამო. ეს ჩემი მოვალეობაა, ჩემი პროფესია. ვიცი, რომ პაციენტები მელიან, მათ ვეიმედები.

ისღა დამრჩენია, ოჯახში, საქმიანობაში, შინ და გარეთ წარმატებები და ლამაზი დღეების სიმრავლე გისურვოთ.

ესაუბრა ნანი კილასონია.

მიყვარხართ და გეფერებით...

ირგვლივ მრავლადაა სიკეთის მარცვალი, ადამიანები მას დამსახურების მიხედვით იმკიან. დრო ულმობლად გადის, უკან არ ბრუნდება. კრიალოსანივით აცმულა ავ-კარგი მოგონებები, გულს სევდა მოსძალვია, არადა რა კარგი იყო ბავშვობა, შენ, უდარდელს და გალაღებულს, შენი პედაგოგებიც ლაღი, ბედნიერი და უდარდელი გეგონა. ალბათ, ასეც იყო...

გასულ წელს, ადგილობრივ არჩევნებზე, თითქმის ყველა ჩემი მასწავლებელი ვნახე, (დიდება მათ სულებს, ვინც ცოცხლები აღარ არიან). ეს ჩემთვის უბედნიერესი წუთები იყო, მათ წინაშე თითქოს თავდახრილი ვიდექი, მათ მიმართ მოწიწებისა და უდიდესი სიყვარულის გამო...

დღესაც მეამაყება ჩემი სკოლა და პედაგოგები. მრავალთაგან ერთს გამოვყოფდი, ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი ქალბატონი ციალა ბესელია, მკაცრი, მაგრამ ამავდროულად სათნო, მოსიყვარულე, კარგი ორგანიზატორი, ფიზიკურადაც გამორჩეული. ყალიჩავების უკეთილშობილესი რძალი.

ციალა და გულიკო ყალიჩავების ოჯახი გამორჩეული იყო შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით. ქალვაჟი აღზარდეს, ნანა და მერაბ ყალიჩავები. უმაღლესი განათლება მიაღებინეს. შვილები რომ მოესწროთ, ლამაზი კარ-მიდამოც მოაწყვეს. სოფელში აშენებული სახლების ტრადიცია დაარღვიეს, ინჟინერ შვილს მიანდეს პროექტის გაკეთებაც...

რძალიც ოჯახის შესაფერისი გამოდგა, ნონა მარკოზია ციალა მასწავლებლის საყვარელი მოსწავლე. სითბომ და სიყვარულმა გაასხივოსნა ოჯახი. გამრავლდნენ და გაიხარეს... ქალიშვილსაც და შვილიშვილებსაც ანა და ინა ჭანტურიებს და ჟანა და ნათია ყალიჩავებს ბებიის თვალების ეშხი გამოჰყვათ, სულს უხარია მათი ხილვა–თავადაც მშვენიერი ოჯახები შექმნეს, სილამაზე და ხიბლი შემატეს მათ დიდ ოჯახს.

ქალბატონი ციალა 78 წლისაა, მეუღლე კი 80-ისა. ეს ის დროა, როცა ვალმოხდილი სიმშვიდით ხვდები და ტკბები ყოველდღიური ცხოვრებით.

ციალა მასწავლებელო! ჩემს ბავშვობაში სხვა დრო იყო, ახლა ჩემს „არქივში“ ფოტოა ჩვენ სპორტულ ფორმაში, წითელი ყელსახვევებით და მზის ქუდები თქვენ და პიონერთხელმძღვანელი ლუარა გაბრავა შუაში დგეხართ. იქნებ გაიხსენოთ სალაშქროდ რომ გაგვიყვანეთ მენჯის ეკლესიამდე. დაღლა არც ერთს არ გვეტყობა, პირიქით, ბედნიერება სახეს გვისხივოსნებს. მეგონა მაშინ მეჩვენებოდით ასეთი ლამაზები, დღეს სხვა გადასახედიდანაც ნათლად დავინახე, თურმე რა ლამაზი ყოფილხართ.

ბედნიერების განცდა სხვადასხვანაირია. მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მოსწავლე ვიყავი, შემდგომაც მამაჩემის და თქვენი კოლეგიალობის თუ იმ დიდი სიყვარულის გამო, რაც თქვენს შვილებთან მაკავშირებს, ურთიერთობები გაგრძელდა.

მიყვარხართ და გეფერებით, ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ, თუმცა ვიცი, თქვენი ოჯახური სითბოს გამო თქვენთვის ყოველი დღე სასწაულია.

უდიდესი მოწიწებით

მერი ლაგვილავა

წაუკითხეთ შვილებს

გოდერძი ჩოხელი

სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მზერას, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ეღობება და მისი მწველი მზერისაგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის ალმოდებულ მზერაში. წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მზერისაგან. რაც ხანი მიდის, ძალღონეს გაცლის ეს დამთრგუნველი მზერა და ერთი წამითაც არა გცილდება, სულ თან დაგდევს და გულ-ღვიძლს გიწვავს ქვეშეცნეულად. შენ კი მაგრობ, მაგრამ თავისი მიაქვთ გარდასულ დღეებს, თანდათან მუხლებში ძალა გელევა, ახალგაზრდობის ოცნებები უფერულდება და გრძნობ, როგორ თანდათან იზრდება შენს არსებაში შიში, სიკვდილის მზერით თუ რაღაც გარდაუვალობის შეგრძნებით გაჯერებული შიში, რომელსაც არავის არ უმხელ და ვერც გაუმხელ, რადგან ერთადერთი ადამიანი, დედა, რომელსაც შეიძლება რომ გაუმხილო ეს შიში, წასულია ამ ქვეყნიდან, შენ კი მარტო ხარ და ხან დედისაგან გაკეთებულ საჭმელს ნატრულობ, როცა გშია, ხან დედისაგან მოქსოვილ ხელთათმანებს, ან წინდებს, როცა გცივა და შენ თავსაც კი არ უმხელ, ისე იძინებ იმ სურვილით, რომ იქნებ სიზმარში ნახო დედა, იქნებ სიზმარში მაინც განმეორდეს ის საოცარი იმედიანი მოფერება, ადამიანის სულიდან სიმარტოვესაც რომ აფრთხობს და არარაობის განცდასაც, სამაგიეროდ კი ხალისითა და იმედით გავსებს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საკრებულოს სხდომის ანგარიში

ამასწინათ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, საკრებულოსა და გამგეობის სხვა ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, კერძოდ: „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 46 დადგენილებაში ცვლილებები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით მხარჯავი დაწესებულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებული გადანაწილებების შესაბამისად.

სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, რომლის თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე განისაზღვრა 12.38 ლარის, სოფლებში–3.71 ლარის, დასახლებათა შორის არეალებში–3.1 ლარის, ხოლო დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს)–6.19 ლარის ოდენობით, ხოლო დადგენილებით „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ქონების გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის 14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 კვ.მ-ზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვრა 0.36 ლარის ოდენობით.

გამგეობის მიერ წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად მიღებულიქნა განკარგულება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე, რომლის დაწყების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 1 აპრილი.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ლიკვიდაციის შემდგომ დგინდება უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესი, განისაზღვრა სასადილოს ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და ასევე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება ბენეფიციართა რეგისტრაცია და განაწილება სასადილოში.

საკრებულოს წევრების მხრიდან ერთხმად იქნა დამტკიცებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტი.

სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი მიზნობრივი პროგრამებით განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გუბერნიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა

10 მარტს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან, გამგებლების მოადგილეებთან, კულტურის სამსახურის უფროსებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსი როზეტა შულაია და გამგეობის მედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხების სპეციალისტი ირინა ფილიპია ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრას, რომლის ორგანიზატორიც რეგიონალური პროექტების კოორდინირების სამსახური იყო, პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე ნუგზარ გაბელია და კულტურის კურატორი ლალი ჯანჯღავა უძღვებოდნენ. შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფმა კულტურის სფეროში არსებული პრობლემები, მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოები განიხილა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით კულტურის ეროვნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით რეგიონებში გასვლით სამუშაო შეხვედრებს იწყებს.

გასვლითი სამუშაო შეხვედრა სამეგრელო-ზემო სავნეთის რეგიონის მასშტაბით ანაკლიაში მიმდინარე წლის 21 მარტს ჩატარდება.

შეხვედრა ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებთან და ფერმერებთან

6 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი ბესიკ ნაჭყებია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგული მიქავა და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი დათო ღადუა ფერმერებსა და გამგებლის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალზე“, პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტში“ შესულ ცვლილებებზე, ნიადაგის ანალიზზე, რომლის მომსახურებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური ფერმერებს უფასოდ გაუწევს, სახელმწიფო პროგრამაზე „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებაზე (შეიქმნა ხობში ხელოვნური განაყოფიერების პუნქტი გამგეობის დაფინანსებით) ისაუბრეს. ასევე დამსწრე საზოგადოებამ მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის საკითხებსა და სიმინდისა და სოიოს ჰიბრიდული ჯიშებზეც ინფორმაცია მიიღო.

ვილოცავთ, დედებო!

3 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია აფხაზეთის ომში შვილდაკარგულ დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დედებს, ექიმებს, საქართველოს ერთიანობისთვის თავდადებულ გმირთა დედებს, აგვისტოს ომის დროს დაღუპულ გმირთა დედებს, მრავალშვილიან დედებს და უხუცეს ქალბატონებს ესტუმრნენ დედის დღე მიულოცეს, მოკრძალებული საჩუქრები და თაიგულები გადასცეს.

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული 3 და 8 მარტის დღესასწაულებთან (დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს) დაკავშირებით მრავალშვილიან დედებზე და უხუცეს ქალბატონებზე ფულადი დახმარებისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამიდან გამოიყო 11 100 (თერთმეტი ათას ასი) ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველა დედას ულოცავს დედათა დღეს და უსურვებს შვილთა სიმრავლეს, ჯანმრთელობასა და დიდი ხნის სიცოცხლეს

WWW.khobi.ge

პროექტის—„ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ პრეზენტაცია

2 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში პროექტის „ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ პრეზენტაცია გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“-ს წევრები, პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ჭულუხაძე, პროექტის მენეჯერი დასავლეთ საქართველოში გიორგი მღვდელაძე და პროექტის რეგიონალური კოორდინატორი ელენე დარასელია ხობის მუნიციპალიტეტის 80-მდე ახალგაზრდას შეხვდნენ, მათ გააცნეს პროექტი და ჩაატარეს ტესტირება, რომლის შედეგად შეირჩევა 36 ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, ჩამოყალიბდება თემატური ჯგუფები და აირჩევა თავმჯდომარე.

საქართველოს მასშტაბით არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ 6000-ზე მეტ მოსწავლესთან გეგმავს შეხვედრას, პროექტის გაცნობას და ტესტირების ჩატარებას. პროექტის ფარგლებში მხოლოდ 2015 მოსწავლე შეირჩევა, რომლის მთავარი მიზანია მოტივირებული და განათლებული ახალგაზრდები ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ლიდერების გამოკვეთას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხობის საგანმანათლებო რესურსცენტრის უფროსი ხათუნა გერგაია, საკრებულოს აპარატისა და გამგეობის თანამშრომლები. საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ სიტყვით მიმართა პროექტში მონაწილე ახალგაზრდებს, უსურვა წარმატებები და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სრული მხარდაჭერა გამოთქვა პროექტის განხორციელებაში და თანამშრომლობის, თანადგომისა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნის პირობები აღუთქვა მათ.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები

დაგვიანებული მოლოცვა

„მადლობა უფალს, რომ არსებობთ!“

9 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში 2 საათზე დაანონსებულ თათბირზე შეკრებილ საზოგადოებას გაზაფხულის სურნელი ათბობდა.

მათ გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელებმა სიურპრიზად სარვამარტო ტორტი დაახვედრეს. ზოგადად ქალების, დედების სადღეგრძელოები არ ილეოდა, ალაფრუშეტმა მამაკაცებიც არანაკლებ გაახარა და დარბაზი სიამოვნებით აივსო...

„მადლობა უფალს, რომ თქვენ არსებობთ!“–ასე მიმართეს აქ შეკრებილ ქალებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ.

მერი ლაგვილავა

ДОКУМЕНТИ

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N5

2015 წლის 25 თებერვალი ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016145) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

ა) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 8 იანვრის N4 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წინადადება (მოხსენებითი ბარათი N10/12 08.01.2015 წ.) და საჯარო კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირების ჩატარებისთვის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 3,7 ათასი ლარით და 3,7 ათასი ლარით გადიდდა მუნიციპალიტეტის გამგეობის (პროგრამული კოდი 01 02) ,,საქონელი და მომსახურება"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" ასიგნება;

ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 იანვრის N67 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება (მოხსენებითი ბარათი N10/3118 30.12.2014 წ.) და ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. №185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების მიზნით, 1.8 ათასი ლარით შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) და 1.8 ათასი ლარით გადიდდა ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია" (პროგრამული კოდი 03 02 03) ,,ოფისის ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი" ასიგნება;

გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 იანვრის N80 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ „საქონელი და მომსახურებას" „ოფისის ხარჯების" ასიგნებებში 0,3 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები" ასიგნება, 1,5 ათასი ლარით - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება" ასიგნება, 0,5 ათასი ლარით–ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საფოსტო მომსახურების ხარჯი" ასიგნება, 1,2 ათასი ლარით–ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,ელენერგიის ხარჯი" ასიგნება და 3,5 ათასი ლარით გადიდდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები" ასიგნება;

დ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 იანვრის N83 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება (მოხსენებითი ბარათი N10/140 29.01.2015 წ.) და ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების მიზნით, შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 8,8 ათასი ლარით და 8,8 ათასი ლარით გადიდდა ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" (პროგრამული კოდი 03 01 01) „ოფისის ხარჯების„ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი" ასიგნება (8.55 ათასი ლარი - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 0,25 ათასი ლარი–საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა);

ე) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისათვის" დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 2 თებერვლის N86 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისთვის" ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 1.39 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურებას" მუხლის „მივლინებები" ასიგნება, 2,1 ათასი ლარით –„საქონელი და მომსახურებას" ,,ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული" ასიგნება, 0,4 ათასი ლარით –„საქონელი და მომსახურებას" მუხლის ,,სამედიცინო ხარჯები" ასიგნება, 10,0 ათასი ლარით–,,საქონელი და მომსახურებას" მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" ასიგნება (ფედერაციის საწევროს ხარჯი) და 11,44 ათასი ლარით გადიდდა ,,საქონელი და მომსახურებას" მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება" ასიგნება, 2,45 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურებას" მუხლის ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" ასიგნება (ბინის ქირის ხარჯები);

ვ) „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის" ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 თებერვლის N91 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის" დამტკიცებულ ასიგნებებში 1,6 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას" ,,ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი" ასიგნება და 0,7 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას" „ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კავშირგაბმულობის ხარჯი" ასიგნება (ინტერნეტ-მომსახურების ხარჯი), 0,9 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურებას" „ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კომუნალური ხარჯი" ასიგნება (ელენერგიის ხარჯი);

ზ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდი 31.12.2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.106.016145) ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის N95 ბრძანებით მიღებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადება (მოხსენებითი ბარათი N10/180 21.02.2015 წ.) და პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 699,0 ათასი ლარის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება, გადიდდა ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 699,0 ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა– 699,0 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის-,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" (პროგრამული კოდი 03 00) მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე, კერძოდ: პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნებაზე, მათ შორის 675,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" (პროგრამული კოდი 03 02 02) ასიგნება, 24,0 ათასი ლარი–ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია" (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნებაზე ასიგნება;

თ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთვის" დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 თებერვლის N104 ბრძანებით შპს „ხობი დასუფთავება და განათებასთვის" ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 8,26 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას" მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება" ასიგნება და 7,18 ათასი ლარით გადიდდა მუხლის „შრომის ანაზღაურება" ასიგნება, 1,08 ათასი ლარით–„საქონელი და მომსახურებას" მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" ასიგნება (საკანალიზაციო სისტემის მოვლა-შენახვის ხარჯები);

ი) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის N116 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ ასიგნებებში 0,8 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,თანამდებობრივი სარგო" ასიგნება და 0,8 ათასი ლარი მიიმართა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „პრემია" ასიგნებაზე;

კ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის N117 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ ასიგნებებში 1,7 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" და 1,7 ათასი ლარით გადიდდა „ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი";

ლ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის N118 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის დამტკიცებულ ასიგნებებში 3,0 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" ასიგნება (აქედან: 0,2 ათასი ლარი-სიგელების, მოწმობების და სუვენირების დამზადების ასიგნება, 0,4 ათასი ლარი –ასოციაციების საწევროს ასიგნება, 2,4 ათასი ლარი - ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული პროგრამული სისტემის განახლების ასიგნება) და 3,0 ათასი ლარით გადიდდა „ოფისის ხარჯების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი" ასიგნება (ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული პროგრამული სისტემის განახლების ასიგნება);

მ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით პროგრამისათვის „საგანგებო სიტუაციების მართვა" (პროგრამული კოდი 02 01) დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის N119 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით პროგრამისათვის „საგანგებო სიტუაციების მართვა" (პროგრამული კოდი 02 01) დამტკიცებულ ასიგნებებში 27,5 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „გრანტები" ასიგნება და 6,0 ათასი ლარი მიიმართა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „თანამდებობრივი სარგო" ასიგნებაზე, 18,5 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კომპესაცია" ასიგნებაზე, 0,4 ათასი ლარი–ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ელენერგიის ხარჯი" ასიგნებაზე, 1,2 ათასი ლარი–ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენა" ასიგნებაზე, 1,4 ათასი ლარი –ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,ექსპლოატაციის, მოვლა–შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი".

ნ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის (პროგრამული კოდი 01 01) დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 თებერვლის N120 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,72 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" და 0,72 ათასი ლარით გადიდდა „ოფისის ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი".

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი) თავი I, თავი II და თავი III ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

8

დანართი
თავი I

ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**9,097.9**	**8,535.7**	**2,888.2**	**5,647.5**	**6,946.6**	**699.0**	**6,247.6**
გადასახადები	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
გრანტები	4,245.6	3,108.2	2,888.2	220.0	2,470.8	699.0	1,771.8
სხვა შემოსავლები	572.1	427.5	0.0	427.5	475.8	0.0	475.8
ხარჯები	**7,235.5**	**6,578.5**	**780.0**	**5,798.5**	**6,249.2**	**2.1**	**6,247.1**
შრომის ანაზღაურება	1,904.9	1,766.6	0.0	1,766.6	1,459.7	0.0	1,459.7
საქონელი და მომსახურება	2,304.7	1,801.5	777.2	1,024.3	919.0	2.1	916.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
პროცენტი	108.0	97.0	0.0	97.0	84.5	0.0	84.5
სუბსიდიები	2,721.7	2,709.5	0.0	2,709.5	3,132.2	0.0	3,132.2
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	395.5	0.0	395.5
სოციალური უზრუნველყოფა	196.2	201.1	0.0	201.1	258.3	0.0	258.3
სხვა ხარჯები	0.0	2.8	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
საოპერაციო სალდო	**1,862.4**	**1,957.2**	**2,108.2**	**-151.0**	**697.4**	**696.9**	**0.5**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,658.1**	**1,800.0**	**1,886.6**	**-86.6**	**570.2**	**746.3**	**-176.1**
ზრდა	2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	773.8	746.3	27.5
კლება	33.1	160.7	0.0	160.7	203.6	0.0	203.6
მთლიანი სალდო	**-795.7**	**157.2**	**221.6**	**-64.4**	**127.2**	**-49.4**	**176.6**
ფინანსური აქტივების ცვლილება	-893.5	42.7	221.6	-178.9	-8.0	-59.1	51.1
ზრდა	**0.0**	**221.6**	**221.6**	**0.0**	**51.1**	**0.0**	**51.1**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	221.6	221.6		51.1		51.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
კლება	**893.5**	**178.9**	**0.0**	**178.9**	**59.1**	**59.1**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	893.5	178.9		178.9	59.1	59.1	
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-97.8**	**-114.5**	**0.0**	**-114.5**	**-135.2**	**-9.7**	**-125.5**
ზრდა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**97.8**	**114.5**	**0.0**	**114.5**	**135.2**	**9.7**	**125.5**
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		**9131.0**	**8696.4**	**2888.2**	**5808.2**	**7150.2**	**699.0**	**6451.2**
შემოსავლები	1	9097.9	8535.7	2888.2	5647.5	6946.6	699.0	6247.6
არაფინანსური აქტივების კლება	31	33.1	160.7	0.0	160.7	203.6	0.0	203.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	32	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
გადასახდელები		**10024.5**	**8653.7**	**2666.6**	**5987.1**	**7158.2**	**758.1**	**6400.1**
ხარჯები	0.0	7235.5	6578.5	780.0	5798.5	6249.2	2.1	6247.1
არაფინანსური აქტივების ზრდა		2691.2	1960.7	1886.6	74.1	773.8	746.3	27.5
ვალდებულებების კლება		**97.8**	**114.5**	**0.0**	**114.5**	**135.2**	**9.7**	**125.5**
ნაშთის ცვლილება		-893.5	42.7	221.6	-178.9	-8.000	-59.1	51.1

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6946,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	**9,097.9**	**8,535.7**	**2,888.2**	**5,647.5**	**6,946.6**	**699.0**	**6,247.6**
გადასახადები	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
გრანტები	4,245.6	3,108.2	2,888.2	220.0	2,470.8	699.0	1,771.8
სხვა შემოსავლები	572.1	427.5		427.5	475.8		475.8

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	**11**	**4,280.2**	**5,000.0**	**0.0**	**5,000.0**	**4,000.0**	**0.0**	**4,000.0**
საშემოსავლო გადასახადი								
ქონების გადასახადი	113	4,280.2	5,000.0	0.0	5,000.0	4,000.0	0.0	4,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	963.8	3,198.0		3,198.0	2,168.0		2,168.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**113112**	**0.0**	**0.0**			**0.0**		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.4	2.0		2.0	2.0		2.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	**1131132**	**1.6**	**0.0**			**0.0**		
სახლთან-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	220.7	220.0	0.0	220.0	220.0	0.0	220.0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	83.9	100.0		100.0	90.0		90.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	136.8	120.0		120.0	130.0		130.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	**113115**	**3,093.7**	**1,580.0**	**0.0**	**1,580.0**	**1,610.0**	**0.0**	**1,610.0**
ფიზიკურ პირებიდან	**1131151**	**398.9**	**10.0**		**10.0**	**10.0**		**10.0**
იურიდიულ პირებიდან	**1131152**	**2,694.8**	**1,570.0**		**1,570.0**	**1,600.0**		**1,600.0**
სხვა გადასახადები ქონებაზე	**1136**	**0.0**	**0.0**			**0.0**		
სხვა გადასახადები	**116**	**0.0**	**0.0**			**0.0**		

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2470.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	**13**	**4,245.6**	**3,108.2**	**2,888.2**	**220.0**	**2,470.8**	**699.0**	**1,771.8**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0	0.0			0.0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	160.5	0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4,085.1	3,108.2	2,888.2	220.0	2,470.8	699.0	1,771.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1311**	**205.0**	**220.0**	**0.0**	**220.0**	**1,771.8**	**0.0**	**1,771.8**
გათანაბრებითი ტრანსფერი		0.0	0.0			1,551.8		1,551.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		205.0	220.0		220.0	220.0		220.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		**0.0**	**0.0**			**0.0**		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3,880.1	2,888.2	2,888.2	0.0	699.0	699.0	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2,999.9	2,043.6	2,043.6		699.0	699.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		880.2	844.6	844.6		0.0		
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		**0.0**	**0.0**			**0.0**		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		**0.0**	**0.0**			**0.0**		
ხტიქის შედეგების ხალიკვიდაციო ფონდი		**0.0**	**0.0**			**0.0**		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 475,8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	572.1	427.5	0.0	427.5	475.8	0.0	475.80
შემოსავლები საკუთრებიდან	141	141.5	132.0	0.0	132.0	115.0	0.0	115.0
პროცენტები	**1411**	**24.2**	**19.2**		**19.2**	**0.0**		
დივიდენდები	1412	0.0	0.0			0.0		
რენტა	1415	117.3	112.8	0.0	112.8	115.0	0.0	115.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	117.3	112.8		112.8	115.0		115.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0.0	0.0			0.0		
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0			0.0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	188.1	85.5	0.0	85.5	135.8	0.0	135.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	53.8	43.9	0.0	43.9	43.8	0.0	43.8
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0.0	0.0			0.0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12.6	6.1		6.1	6.0		6.0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0	0.0			0.0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229	0.1	0.0			0.0		0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.4	0.0			0.0		0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	0.0	0.0			0.0		
კულტურული შემეკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	142215	0.0	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	142216	0.0	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	40.7	37.8		37.8	37.8		37.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	0.0			0.0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	134.3	41.6	0.0	41.6	92.0	0.0	92.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.0	0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	134.3	41.6		41.6	92.0		92.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	238.2	210.0		210.0	225.0		225.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0.0	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	4.3	0.0			0.0		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6249,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,235.-5	6,578.-5	780.0	5,798.5	6,249.2	2.1	6,247.1
შრომის ანაზღაურება	1,904.9	1,766.6	0.0	1,766.6	1,459.7	0.0	1,459.7
საქონელი და მომსახურება	2,304.7	1,801.5	777.2	1,024.3	919.0	2.1	916.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	108.0	97.0	0.0	97.0	84.5	0.0	84.5
სუბსიდიები	2,721.7	2,709.5	0.0	2,709.5	3,132.2	0.0	3,132.2
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	395.5	0.0	395.5
სოციალური უზრუნველყოფა	196.2	201.1	0.0	201.1	258.3	0.0	258.3
სხვა ხარჯები	0.0	2.8	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	773.8	746.3	27.5
ძირითადი აქტივები	2,691.2	1,960.7	1,886.6	74.1	773.8	746.3	27.5
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასეულობები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
საშინაო	97.8	114.5	0.0	114.5	135.2	9.7	125.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 773.8 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,691.2	1,960.7	773.8

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 203,6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	33.1	160.7	203.6
ძირითადი აქტივები	9.4	10.7	0.0
მატერიალური მარაგები	2.4	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	21.3	150.0	203.6
მიწა	21.3	150.0	203.6

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**2,305.-20**	**2,761.-00**	**475.60**	**2,285.4-0**	**2,192.-80**	**0.00**	**2,192.-80**
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა.ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,197.20	2,188.40	0.00	2,188.40	2,108.30	0.00	2,108.30
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,154.60	2,097.4-0	0.00	2,097.40	2,059.20	0.00	2,059.20
7011-2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	42.60	91.00	0.00	91.00	49.10	0.00	49.10
7016	ვალთახ დაკავშირებული ოპერაციები	108.00	572.60	475.60	97.00	84.50	0.00	84.50
702	**თავდაცვა**	**95.20**	**108.10**	**0.00**	**108.10**	**114.50**	**0.00**	**114.50**
703	**საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**617.20**	**410.70**	**0.00**	**410.70**	**411.00**	**0.00**	**411.00**
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	617.20	410.70	0.00	410.70	411.00	0.00	411.00
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**1,907.-70**	**1,759.-00**	**1,719.10**	**39.90**	**127.20**	**48.40**	**78.80**
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1.70	7.60	2.80	4.80	73.50	33.50	40.00
704-21	სოფლის მეურნეობა	1.70	7.60	2.80	4.80	73.50	33.50	40.00
7045	ტრანსპორტი	1,101.10	906.80	871.70	35.10	53.70	14.90	38.80
704-51	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,101.10	906.80	871.70	35.10	53.70	14.90	38.80
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	804.90	844.60	844.60	0.00	0.00	0.00	0.00
705	**გარემოს დაცვა**	**1,733.5-0**	**337.10**	**0.00**	**337.10**	**316.40**	**0.90**	**315.50**
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	504.00	337.10	0.00	337.10	313.00	0.00	313.00
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1,229.50	0.00	0.00	0.00	3.40	0.90	2.50
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	794.20	678.90	471.90	207.00	937.90	699.10	238.80
7063	წყალმომარაგება	23.50	10.00	0.00	10.00	690.00	675.00	15.00
7064	გარე განათება	0.00	174.00	0.00	174.00	222.00	0.00	222.00
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	770.70	494.90	471.90	23.00	25.90	24.10	1.80
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	**99.40**	**123.50**	**0.00**	**123.50**	**123.90**	**0.00**	**123.90**
7072	ამბულატორიული მომსახურება	15.90	14.60	0.00	14.60	23.40	0.00	23.40
707-24	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	15.90	14.60	0.00	14.60	23.40	0.00	23.40
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	83.50	108.90	0.00	108.90	100.50	0.00	100.50
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	941.80	865.30	0.00	865.30	995.80	0.00	995.80
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	429.30	428.50	0.00	428.50	480.10	0.00	480.10
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	459.90	383.20	0.00	383.20	455.40	0.00	455.40
7083	ტელევიზიისა და საგამომცემლო საქმიანობა	42.20	35.80	0.00	35.80	44.00	0.00	44.00
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10.40	17.80	0.00	17.80	16.30	0.00	16.30
709	**განათლება**	**1,159.10**	**1,210.-90**	**0.00**	**1,210.90**	**1,490.70**	**0.00**	**1,490.-70**
7091	სკოლამდელი აღზრდა	799.00	863.30	0.00	863.30	1,062.70	0.00	1,062.70
7093	პროფესიული განათლება	87.10	80.70	0.00	80.70	110.70	0.00	110.70
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	273.00	266.90	0.00	266.90	317.30	0.00	317.30
710	სოციალური დაცვა	273.40	284.70	0.00	284.70	312.76	0.00	312.76
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	64.60	45.60	0.00	45.60	55.56	0.00	55.56
7101-1	**ავადმყოფთა სოციალური დაცვა**	**64.60**	**45.60**	**0.00**	**45.60**	**55.56**	**0.00**	**55.56**
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	90.50	113.80	0.00	113.80	117.70	0.00	117.70
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	78.80	83.60	0.00	83.60	94.50	0.00	94.50
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	39.50	41.70	0.00	41.70	45.00	0.00	45.00
	სულ	**9,926.70**	**8,539.-20**	**2,666.60**	**5,872.60**	**7,022.96**	**748.40**	**6,274.-56**

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 127,2 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 59,1 -ით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 135.2 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 63,4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწ□ვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 220.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 114,5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II
ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო ღონისძიებების მაღალპროფესიული უზრუნველყოფისათვის პირადი შემადგენლობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა. თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო–საავარიო ტექნიკით უზრუნველყოფა, ხანძრების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლების ზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირადი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლების დაცვა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა

10

დოკუმენტი

9

და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)

ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

ა.ბ) ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

ბ) კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ბ.ა) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას;

ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 03)

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

ბ.დ) სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

ბ.ე) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა, 2015 წლისათვის გამოყოფილია სულ 313.0 ათასი ლარის ასიგნება.

გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა. დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 30 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1092-მდე ბავშვი. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე, მათ რეაბილიტაციაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე.

ბ) მოსწავლე–ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ხორციელდება სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფა.

გ) პროფესიული სწავლება (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის მეშვეობით ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, წარმატებული სპოტსმენების წახალისებას, ნიჭიერ ბავშვებს და ახალგაზრდებს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება. იზრდება ჩატარებილი კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირების ჩატარება, სპორტში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“სუბსიდირება, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის პოპულარიზაციას და გუნდის მომზადებას საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ა.გ) სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქსა და სოფლებში არსებული მარტივი ტიპის მოედნების ექპლოატაცია და რეაბილიტაცია.

ა.დ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელსეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, სადაც 11 ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია 216 ბავშვი, სკოლის გუნდები მონაწილეობას იღებენ სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონების ტურნირებში.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურულინ ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს 13 ბიბლიოთეკას, 3 მუზეუმს, 7 სასოფლო კლუბსა და 3 კულტურის სახლს. ცენტრი ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას.

ბ.ბ) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებს გამოფენების ორგანიზება.

ბ.გ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით ადგილობრივი ფოლკლორის, ხალხური ტრადიციების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით კონკურსები, გათვალისწინებულია მოეწყოს მეგრული ფოლკლორისა და რეწვის საღამო. სსიპ ,,ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს“ გამოეყო გრანტი 12,0 ათასი ლარი, რითაც იქმნება სალოტბარო სკოლა, ხელი შეეწყობა ქართული სიმღერებისა და საგალობლების შესწავლას და შენარჩუნებას.

ბ.დ) ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“, რითაც ხელი ეწყობა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება\ ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა\ დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; ,,ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2015 წელს გამოიყოფა ყოველწლიურად 23.4 ათასი ლარი.

გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიატულო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

გ.ა) ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 50 %-ის დაფარვა, არამუმეტეს 2000 ლარისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

გ.ბ) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

პიროვნება, რომელთანაც მეგობრობა და ურთიერთობა მეამაყება. იგი გახლავთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით შემკული კოლხი რაინდი, ბატონი ნუგზარ ნადარაია. სიმართლე და მინდობილი საქმისადმი ერთგულება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა იყო და არის მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. იგი ვერ ეგუებოდა იმათ, ვინც პროგრესულ იდეებს და აზრს აფერხებდა. უაღრესად სათნო ხასიათის და მიმტევებელი ბუნების კაცი, დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც მის გუნდში შემთხვევით მოხვდებოდა და რაიონის აღმშენებლობის საქმეში ვერ ამბობდა საქმით დამშვენებულ სიტყვას. ეშმაკთან წილნაყარი კაცი მის გვერდით ვერ დადგებოდა და მასთან ერთად ვერ იმუშავებდა. ვისთვისაც ბედს გაულიმია და მის გვერდით უმუშავნია, მეტიც, მასთან უმეგობრია, მისთვის მიუმართავს, ან შეჭირვების ჟამს მისი უშურველი სითბო და სიკეთე უგრძვნია, უსათუოდ დამემოწმება, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა გმირობაა ემოციებს არასოდეს აყვებოდა. მონდომებით, უნარიანად, უძღვებოდა რაიონის სასიკეთო საქმეებს. მის შრომით საქმიანობაში და ხალხთან ურთიერთობაში მხოლოდ სიმართლე ზეიმობდა, ახალი განახლებული კოლხეთით ტკბებოდა. ხობზე და ხობელებზე ფანატიკურად შეყვარებული მუდამ მათი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, პრინციპული და მომთხოვნი, ყველასთან ეწრთნაირი, მუშასთან მუშა, ინტელექტთან ინტელექტი, შინაარსიანს ხდიდა მის ცხოვრებას, უყვარდათ მისი პირდაპირობა, შეუნიღბავი სიმკაცრით და ლმობიერებით, მის თანამებრძოლებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან: თითქოს ეს ღვთისნიერი კაცი კეთილი საქმეებისთვის და თანადგომისთის არის დაბადებულიო. რაც დღეს ხდება კოლხეთის მადლიან მიწაზე, რაც აშენდა თუ აშენდება, მისი უდიდესი ნაწილი ხომ იმ წლებში განხორციელდა, როდესაც თავის დროზე დიად აღმშენებლობას სათავეში ედგა მისი ღირსეული წარმომადგენელი ბატონი ნუგზარ ნადარაია.

ბატონო ნუგზარ! თქვენს ბიოგრაფიას კოლხეთი საკუთარ ბიოგრაფიად მიითვლის, რამეთუ თქვენი მოღვაწეობის პერიოდში ჩვენი მშობლიური რაიონი, კოლხეთის გული გადააქციეთ სამშენებლო და მეცნიერებისა და ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების დანერგვის პოლიგონად, ამ სიახლეებმა ხობს და ხობელებს სულ სხვა შინაარსი და ტონალობა შესძინა. ყოველივე ეს გვეამაყებოდა ხობელებს და ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად განგვაწყობდა. რისთვისაც დიდი მადლობა, ბატონო ნუგზარ!

სახალხო-საერო დღესასწაული „ჭყონდიდელობა“ და „ცოტნეობა“ ხომ თქვენი დაფუძნებულია. ამ დიდი დღესასწაულებით თქვენ მოაგონეთ მოსახლეობას სამეგრელოს, ამ საქართველოს ძირძველი მიწის ისტორიული წარსული „ვისი გორისანი ვართ“. ჟურნალი „ცოტნეიდელი“ ხომ ყოველი ოჯახის ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტია, ჩვენი გმირული წარსულის მემატიანეა და ამიტომაც ყოველი ოჯახი მას დიდი ინტერესით მოელის. ამ ჟურნალის მე-8 ტომის პირველი ნაწილის ბოლოთქმაში თქვენ ამბობთ: „მე ჩემი გზა ასე გამოვიარე, მიყვარდით და მწამდით, გიერთგულეთ, როგორც შევძელი. უკეთესი სხვამ გააკეთოს. არასოდეს ვყოფილვარ შურიანი, პირიქით, მუდამ ვაკვირდებოდი ყველას და მჯობნის მჯობნით ვხარობდი. მხოლოდ ჩემს თავს ვეკითხები, საკმარისად ვიმუშავე ინტელექტის ასამაღლებლად? და იქვე დავასკვნი–როგორც ჩანს, არა, რადგან გჯობნიან, თუმცა მჯობნის მჯობნს მართლაც რა გამოლევს“.

ბატონო ნუგზარ!

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებით თქვენი დაბადების 70-ე წლისთავის იუბილეზე და გისურვებთ დღეგრძელობას, შემოქმედებით წარმატებებს და სანუკვარი სამშობლოს გაბრწყინებას. ღვთის მადლითა შეწევნით ვიმედოვნებ, რომ ასეთი რწმენით შევძლებთ შევხვდეთ თქვენს საუკუნოვან იუბილეს–დამშვენებულს თქვენი ახალ-ახალი წარმატებებით.

საშა არჩაია,
პედაგოგი, ფიზიკის აკადემიის ნამდვილი წევრი.

„თქვენ ხართ კაცი!“

კარლ-ავგუსტის სასახლეში დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის გოეთესა და საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონის შეხვედრა გაიმართა. ხანგრძლივი საქმიანი საუბრის შემდეგ იმპერატორმა გოეთეს ახედ-დახედა და ასე მიმართა, „თქვენ ხართ კაცი!“

ბატონო ნუგზარ, თქვენ ხართ კაცი, რომელსაც სრულიად საქართველოში გიცნობენ, როგორც აღიარებულ მოღვაწეს და ჭეშმარიტ ცოტნეიდელს. თქვენეული შემართებით, ყველა ადამიანური თვისებებით სასიკეთო კვალი დაამჩნიეთ ყველგან და ყველფერში.

თქვენ სრულიად ახალგაზრდა ჩაუდექით სათავეში ხობის რაიონს. დღეს ხობელები თქვენს მოღვაწეობას აფასებენ, როგორც გამორჩეულ აღმშენებლობით პერიოდს. ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის მმართველობის ეპოქას მეგრელებმა „გომორძგვილი“–(გამარჯვებული, აღმშენებელი) უწოდეს. ნამდვილად იგივე ზედსახელით შეიძლება შეფასდეს თქვენი მოღვაწეობა ხობის რაიონში. ამიტომ უყვარხართ და გაფასებენ თქვენ, როგორც პიროვნებას და ნიჭიერ ხელმძღვანელს. გულწრფელად მიხარია თქვენი ჯილაგისა, რომ ვარ.

გისურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას, კვლავაც დიდხანს გეღვაწოთ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

მარადიული სიყვარულით
ბეჟან ნადარაია.

გავლილი წლების ხიბლი

ყველა ქალაქს თუ სოფელს გააჩნია თავისი სავიზიტო ბარათი ანუ ნიშა, რითაც თავს იწონებს და ამაყობს...

კულტურის სასახლე;
თეატრონი;
ახალგაზრდული კლუბი;
სპორტული კომპლექსი;

მუზეუმები, სკოლები ეს უნიკალური შენობები რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, მედეა ჩახავა, გივი გეგეჭკორი, ოთარ მეღვინეთუხუცესი. გურანდა გაბუნია, მწერლები, აკადემიკოსები და სხვა გენიალურ ადამიანებთა ხიბლი დღესაც ახსოვთ ხობელებს და ეს ყველაფერი ხობის საპატიო მოქალაქეს, „ცოტნეიდელის“ სულისჩამდგმელ საზოგადო მოღვაწეს, ფოლკლორის დიდ მეხოტბეს, დიდსულოვან მამულიშვილს, ჭეშმარიტ ქართველს ბატონი ნუგზარ ნადარაიას ეკუთვნოდა. კაცს რომელმაც გულწრფელად იღვაწა, იშრომა და ააშენა ქალაქი ხობი, დააწესა ისტორიული დღესასწაულები, რომელითაც ვამაყობთ.

ადამიანი ბუნების უნიკალური ქმნილებაა. იგი ჭკუით და საქმით სულიერ არსებათა სამყაროში ყველაზე მაღლა დგას, ამიტომაც არის, რომ ადამიანი ნორმალურ ბუნებრივ პირობებში დიდხანს ცოცხლობს და ჯანმრთელობას ინარჩუნებს. შემთხვევით როდია, როცა ადამიანებს, რაც უფრო მეტი ასაკი ემატებათ, ხშირად ქალაქიდან მშობლიურ კუთხეს უბრუნდებიან, როცა გულს მშობლიური კუთხის მონატრება აუჩქროლებთ და ნოსტალგია შეიპყრობს განვლილ გზას და ნამოღვაწარზე ფიქრობენ, ეფერებიან მშობლიურ კუთხეს, თავის საუნჯეს...

დიდი ილია ბრძანებდა:„თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგან უქმად ყოფნის ნებას სამართლიანობა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ყიდულობდეს თითოეული თავის კერძს ცხოვრებისას და კეთილის მოქმედიც იქნები, რადგან ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა, შეძლებისამებრ იღვაწე და აკეთე კეთილი, სხვას ამის მეტს არას სთხოვს ქვეყანა თავის შვილს“.

საქართველოს სულისმიერი მამის ეს სიტყვები, მართლაც რომ მიესადაგება პიროვნებას, რომელმაც მართლაც გაალამაზა და დაამშვენა ქალაქი ხობი.

საოცარია განვლილი წლების ხიბლი...

„და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის”... დიახ, საშვილიშვილო საქმეთა მოელვარე მზე დაჰნათის კაცს, შესაქმელი და საკეთებელი კიდევ ბევრია.

ბატონო ნუგზარ (მაპატიეთ სითამამისთვის), გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ მუდამ ხალისიან განწყობას დაესადგურებინოს თქვენს გულში. კარგო ქართველო, ბედნიერება და სიხარული ნუ მოშლოდეს თქვენს ფუძეს ქართულს, საუკუნოვან სიცოცხლეს გისურვებთ.

ნაირა ბერაია,
ხორგა.

მხოლოდ ამ ერთი საღამოსთვის ღირდა სიცოცხლე!

ჭეშმარიტი პატრიოტობა და საქვეყნო საქმის კეთება არავითარ კავშირში არ არის პარტიულ კუთვნილებასთან. ობლად გაზრდილი ალალი და ჯანსაღი ბიჭი კომკავშირელიც იყო და კომუნისტიც, აქტიური სტუდენტიც და ასპირანტიც, ეკონომისტიც და ისტორიკოსიც, მიწის მუშაც და ხარაჩოზე შემდგარი კირითხუროც, რაიკომის მდივანიც და ქალაქის მერიც, ჟურნალისტიც და რედაქტორიც, ფაზისის საერო აკადემიის თავკაციც.

იყო და არის!

ნუგზარ ნადარაია მართლაც გამორჩეული პიროვნებაა–გულკეთილი და გულფიცხი, სევდიანი და მხიარული, მიმტევებელი და პრინციპული, დამთბობი და შემტევი...

და ბოლოს–ნუგზარ ნადარაია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და პირველი ცოტნეიდელია. მისი ღვაწლის და კაცურად განვლილი 70-წლიანი ცხოვრების თაობაზე ჩვენმა გაზეთმა ამ დღეებში მოუთხრო მკითხველს, 27 თებერვალს კი, რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მართლაც ნანატრი, დაუვიწყარი საღამო გაიმართა. ეს იყო არაოდენ საიუბილეო შეხვედრა, არამედ ქართული სიტყვისა და თეატრალური ხელოვნების ზეიმი. ნუგზარ ნადარაიას მიესალმნენ აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გია ალიბეგაშვილი, რუსთაველის პრემიის ლაურეატები რევაზ მიშველაძე, ლია სტურუა, საქართველოს სახალხო არტისტები გოგი ქავთარაძე, მურმან ჯინორია, ცნობილი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, პროფესორები რამაზ გახოკიძე, რუსუდან წურწუმია, გონელი არახამია, პოლიტოლოგები და საზოგადო მოღვაწენი ბაკურ გულუა, კონსტანტინე გამსახურდია, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე ერეკლე საღლიანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კლასიკურ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუა, ცნობილი კომენტატორი და ჟურნალისტი ჯამლეტ ხუხაშვილი, სახალხო არტისტები და კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი, მაცაცო სებისკვერაძე, ნუნუ დუღაბიშვილი, მომღერლები ენრიკო ჯანელიძე, ნუკრი კაპანაძე, ბორის ბედია და სხვები. იუბილარს მიესალმნენ დელეგაციები აჭარიდან, კახეთიდან, რაჭიდან.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ჩამოთვლილი საზოგადოება, ნამდვილი ქართული ელიტა, დაუვიწყარ საღამოს შექმნიდა... ამიტომაც ვთქვით, რომ თუნდაც ამ ერთი საღამოსთვის ღირდა სიცოცხლე...

იუბილარმა ნუგზარ ნადარაიამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ. ჩვენ კი დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ დღესაც ჭაბუკური ენერგიით და საქვეყნო საქმის მოგვარება-მოჭირნახულებით გულანთებულ კაცს.

ცოტნე აბაშიძე,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

განათლება

ახალგაზრდობა იმედი ხვალის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით მრავალ პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა.

ამ პროგრამის ფარგლებში, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 25 თებერვალს-საქართველოს ოკუპაციის დღეს სიმბოლურად დაემთხვა ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოება.

2013-2014 წლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 19 ოქროსა და ვერცხლის მედალი გაიცა. მედლები ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსმა რევაზ წულაიამ, აგვისტოს ომში დაღუპული გმირის მიშიკო იოსავას დედამ მარინა კაკულიამ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ხათუნა გერგაიამ გადასცეს.

ქალბატონმა ხათუნამ აწ უკვე კურსდამთავრებულებს და წარმატებულ სტუდენტებს მათთვის მნიშვნელოვანი დღე მიულოცა, და აღნიშნა, რომ ეს დღე მისთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია, რამეთუ მედლების გადაცემაში მონაწილეობას იღებს ჩვენი დროის გმირის, საქართველოს ერთიანობას შეწირული რაინდის მიშიკო იოსავას დედა. მედლების გადაცემას მედალოსნებთან ერთად სკოლის დირექტორებიც ესწრებოდნენ, რომლებსაც ისევე უხაროდათ ეს მედლები როგორც მათ მოსწავლეებს, ეს არც არის გასაკვირი, მასწავლებელს თავისი შრომა ხომ სწორედ მაშინ უფასდება, როცა მისი მოსწავლე, კურსდამთავრებული წარჩინებული ხდება.

ამ დღესთან დაკავშირებით ხობის №1 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ **ქეთინო გაბისონიას,** შუა ხორგის საჯარო სკოლის დირექტორს **გულნარა ტაბაღუას** კომენტარები ვთხოვე.

ქეთინო გაბისონია:

ამ პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდნენ ქ. ხობის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ნინო საჯაია (ოქროს მედალი); თეონა სახოკია (ოქროს მედალი), გიგა გოგენია (ვერცხლის მედალი). ვულოცავ მათ და რა თქმა უნდა, მშობლებსა და მასწავლებლებს ამ ღირსეულ ჯილდოს. მინდა უდიდესი მადლობა ვუთხრა ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ქალბატონ ხათუნა გერგაიას ხელმძღვანელობით, რომლებმაც საოცრად ლამაზი, დაუვიწყარი ზეიმი მოგვიწყვეს როგორც ჩვენ, ასევე ამ ბავშვებს. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ის ფაქტი, რომ პირველსკოლელებს ეს მედლები გადასცა, მათი თანასკოლელის, თანამედროვეობის გმირის, მიხეილ(მიშიკო) იოსავას დედამ ქალბატონმა მარინა კაკულიამ. როცა ქვეყანას მიშიკოს მსგავსი გმირები ჰყავს, ლოგიკურია, რომ ასეთი წარმატებული, გონიერი, განათლებული მომავალი თაობა ჰყავდეს. ეს ყველაფერი, კი უდავოდ ოპტიმისტურად განგვაწყობს, რადგან ჩვენ ქვეყანას ღირსეული მომავალი ეზრდება და ის შესაბამისად ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს თანამეგობრობაში“.

გულნარა ტაბაღუა:

„2013-2014 სასწავლო წელს სოფელ შუა ხორგის საჯარო სკოლა დაამთავრა სამმა ოქროსა და ერთმა ვერცხლის მედლის კანდიდატმა, სკოლამ მათ განუვითარა პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები, უზრუნველყო მათი შესაძლებლობა, რათა უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენონ ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. მათ აქვთ მზაობა დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში, გააჩნიათ ადამიანური ღირებულებები. არიან კანონმორჩილები და ტოლერანტები. აქვთ განვითარებული უნარები, რათა დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში თავიანთი ცხოვრება წარმართონ ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების გათვალისწინებით. მედლები საზეიმოდ გადაეცათ მიმდინარე წლის 25 თებერვალს. სამივე ოქროს მედალოსანი მოეწყო სხვადასხვა უნივერსიტეტში და მოიპოვეს ასპროცენტიანი დაფინანსება. ვუსურვებთ ამ ახალგაზრდებს შეძლონ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და იმ პრინციპებით ცხოვრება,რომელიც მათ გამოუმუშავა სკოლამ.

გვინდა დიდი მადლიერება გამოვხატოთ, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყველა თანამშრომლის მიმართ, საოცრად თბილი გარემოს შექმნისათვის.

დიდი მადლობა ქალბატონ ხათუნა გერგაიას ღონისძიების შესანიშნავად ორგანიზებისა და თითოეული მოსწავლის მიმართ დიდი სითბოსა და სიყვარულის გამოხატვისთვის.

ჩვენი მედალოსნები

1.**ნინო საჯაიას**–ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა (ოქროს მედალოსანი).
2. **თეონა სახოკია**-ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
3.**ნინო ბაბილუა**-ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
4.**ირაკლი სერგია**-ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
5.**დავით ქანთარია**-ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
6.**ქრისტინა ბერაია**-შუა ხორგის საჯარო სკოლა (ოქროს მედალოსანი).
7.**დარიკო შენგელია**-შუა ხორგის საჯარო სკოლა (ოქროს მედალოსანი).
8.**გვანცა ცირდავა**-შუა ხორგის საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
9.**ფიქრია ხუნწარია**-ხეთის საჯარო სკოლა(ოქროს მედალოსანი).
10.**გიგა გოგენია**-ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).
11.**რობერტი ქობალია**-ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).
12.**ირაკლი წოწონავა**-ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).
13.**მეგი გაბრავა**-ხეთის საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).
14.**მარიამ კობახიძე**-ხეთის საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).
15.**თამარ ხურცილავა**-ხეთის საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი)
16.**მარიამ სიჭინავა**-ნოჯიხევის №2 საჯარო სკოლა (ვერცხლის მედალოსანი).
17.**სოფიო ბერულავა**-ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა (ვერცხლის მედალოსანი).
18.**ლაურა ყალიჩავა**-ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი)
19.**მარიამ ლატარია**-შუა ხორგის საჯარო სკოლა(ვერცხლის მედალოსანი).

ნინო გერგაია

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

სპორტი ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია, ფიზიკური აღზრდის მეთოდი და საშუალებაა, სპორტი და ფიზიკური განათლება აუცილებელი პირობაა პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის, ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. იგი მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებას, საერთო ფიზიკურ განვითარებასთან ერთად შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მიღწევას, გამარჯვებას და უბრალოდ სიამოვნების მიღებას. სპორტული ცხოვრება, რომ აუცილებელი და საჭიროა მოზარდის ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის ეს უდაოა. მაგრამ საინტერესოა ამ კუთხით რა ხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში, ვინ ზრუნავს და როგორ, მომავალი თაობის სიჯანსაღეზე. ცხოვრების ჯანსაღი წესი გულისხმობს იმ ქცევას, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ე. ი. ცხოვრების ჯანსაღი წესი საკუთრივ მოიცავს ქცევის ყველა ელემენტს (შრომითი, სოციალური, ინტელექტუალური, ფიზიკური, სამედიცინო აქტივობა), რომელთა მიზანია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ცხოვრების ჯანსაღი წესი ასევე შეიცავს ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ – ფაქტორების თავიდან აცილების გზებს. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებია:

მოსახლეობის მიერ თამბაქოს მოხმარების შემცირება;

მოსახლეობის მიერ ალკოჰოლის მოხმარების შემცირება;

მოსახლეობის მიერ წამლების ბოროტად გამოყენების შემცირება;

მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება არის ერის არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი გაჯანსაღების გზაზე გადადგმული ნაბიჯი და მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საერთო მიზნითა და ძალისხმევით.

„ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია“ ასე აზროვნებდნენ ლათინელები და ეს ყოველივე სრულად ისახება ჩვენს დღევანდელ ყოფაში. ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ყოველწლიურად ატარებს სპორტულ ღონისძიებებს, სკოლებს შორის შეჯიბრებებს, რაც უდაოდ ხაზგასასმელი ფაქტია. 27 თებერვალს სტარტი აიღო სპორტულმა ტურნემ, რომელიც ეტაპობრივად სამი თვის მანძილზე გაგრძელდება. სპორტული პროექტი ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და შსს ხობის რაიონული სამმართველოს მხარდაჭერით ტარდება. სპორტულ ტურნირში ჩართულია ხობის მუნიციპალიტეტის 26 საჯარო სკოლა.

დარბაზში შესულს ჩემი ყურადღება კედლებზე გამოფენილმა პლაკატებმა მიიქცია, რომელზეც სხვადასხვა სლოგანი იყო დაწერილი. თავად ტურნირს ლაიტმოტივად გასდევდა შემდეგი სლოგანი: „ნუ იქნები თამბაქოს ტყვე“ და „ჯანმრთელობა ყველაფერი არაა, მაგრამ ყველაფერი ჯანმართელობის გარეშე, არაფერია“.

ტურნირი გახსნა საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა **ხათუნა გერგაიამ**; მან მონაწილე მოსწავლეებს წარმატებები უსურვა; ხაზი გაუსვა მოსწავლეთა

18

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

17

ჩართულობას სპორტში,საუბარში აღნიშნა,რომ ასეთი ღონისძიებები უსათუოდ ხელს შეუწყობს მოზარდი თაობების აღზრდას. „ძვირფასო ბავშვებო! გაუფრთხილდით უძვირფასეს კაპიტალს – თქვენს ჯანმრთელობას! ადრეული ასაკიდანვე იზრუნეთ ჯანმრთელობაზე! მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს! ხელი შეუწყეთ გარემოს დაცვასა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას! დაე, ერთად ვიზრუნოთ ჯანსაღი და სრულფასოვანი საზოგადოების შექმნისათვის! ცხოვრების ჯანსაღი წესი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. მინდა გითხრათ,რომ მსგავსი პროექტები მოსწავლეებისათვის უფრო საინტერესო და აზარტულია,სპორტული ჩემპიონატები, სპორტის პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ხელს უწყობს, ასევე ემსახურება მოზარდებს შორის სპორტული რესურსების გამოვლენას და მათ წახალისებას“.

მან მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიონულ სამმართველოს და დასძინა, თუ ჩვენი დევიზი ჯანსაღი ცხოვრების წესია, მათი მიზანია დანაშაულის პრევენცია. მადლობა გადაუხადა, დამსწრე საზოგადოებას და მოწვეულ სტუმრებს.

დამსწრეთა შორის იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს უფროსი რევაზ წულაია, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქ.ხობში იური ჯობავა და შსს ხობის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი არასრულწლოვნების ხაზით ხათუნა ესებუა.

ტურნირი კალათბურთის შეჯიბრებით დაიწყო, რომელშიც 14 სკოლის 9 ვაჟთა და 4 გოგონათა გუნდი მონაწილეობდა.

პირველი ადგლი ხობის N1 საჯარო სკოლას ერგო წილად.

მეორე ადგილზე ვაჟებს შორის ახალი ხიბულის N2 საჯარო სკოლა გავიდა.

მესამე ადგილზე ჭალადიდის საჯარო სკოლა.

გოგონათა შორის:

პირველი ადგილი–ხობის N1 საჯარო სკოლა.

მეორე ადგილი–ახალი ხიბულის N1 საჯარო სკოლა

მესამე ადგილი შუა ხორგის საჯარო სკოლა.

პირველ ადგილზე გასულ გუნდებს სიგელებთან ერთად სიმბოლურად კალათბურთის ბურთები გადაეცათ.

მეორე და მესამე ადგილოსნებს სიგელები.

სიგელი გადაეცა საუკეთესო თამაშისათვის ახალი ხიბულის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე მამია ღურწკაიას.

იმედია, ტენდენციურობაში არ ჩამითვლით თუ ვიტყვი,რომ ქ.ხობის N1 საჯარო სკოლას ოდითგანვე მოსდგამდა დიდი ტრადიციები. ამ სკოლაში აღზრდილან დიდი ინტელექტისა და სპორტის სიყვარულით გულანთებული ადამიანები მათი მასწავლებელი ხუთ-ათეულ წელიწადს ბ-ნი მიშა დანელია გახლდათ. პირველსკოლელები არც ამჯერად ღალატობენ ტრადიციებს. ახლახანს გამართულ კალათბურთის შეჯიბრებაში ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის პირველობა სწორედ რომ პირველ სკოლას ერგო. მათი გამარჯვება თავად მე ორმაგად მეამაყება, რამეთუ მეც ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ და მათი თითოეული წარმატება მსიამოვნებს და მეამაყება.

გილოცავთ ბავშვებო გამარჯვებას. ეს ერთი და სხვა მრავალი....

p.S ტურნირი გრძელდება და ინფორმაციას მისი მსვლელობის შესახებ ეტაპობრივად მოგაწვდით.

ნინო გერგაია

გლიც-ინტერვიუ

გვიყვარდეს ერთმანეთი!

ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ირჩევს „მამაკაცურ“ პროფესიას და ღირსეულად ეუფლება მას. პოლიციელობა არც თუ ისე იოლი საქმეა, მითუმეტეს ქალისთვის, ჩემი რესპოდენტია შშს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტირების განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი არასრულწლოვანთა ხაზით, ხათუნა ესებუა. ის, თავის საქმიანობაში სირთულეებს ვერ ხედავს, მას უყვარს თავისი პროფესია. თუ რამ გადააწყვეტინა პოლიციელი გამხდარიყო, რაზე ოცნებობს, და რა სურვილები აქვს მას სამომავლოდ, ამაზე ჩვენთან ინტერვიუში შეიტყობთ.

ქალისათვის თქვენი პროფესია, ვფიქრობ, მძიმე ტვირთია,ხომ არ ვცდები?

–მძიმე არის, მაგრამ მე მიყვარს ჩემი პროფესია.

რამ გადაგაწყვეტინა პოლიციელი გამხდარიყავი?

–ჩემი პიროვნული ხასიათებიდან გამომდინარე მიჭირს უსამართლობასთან შეგუება. ალბათ, ერთგვარად ჩემი პროფესია ჩემს ხასიათში ჯდება.

თქვენ უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ხართ არასრულწლოვნების ხაზით, რა სიტუაციაა ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში? ხშირია დარღვევები არასრულწლოვანთა მხრიდან?

–2012 წლიდან ვარ უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, 2014 წლიდან უბნის ინსპექტორ გამომძიებელი არასრულწლოვნების ხაზით და ჩემი მუშაობის პერიოდში ჩვენს მუნიციპალიტეტში არასრულწლოვანთა მხრიდან დარღვევები არ დაფიქსირებულა.

მარტის თვეს ქალთა თვეს უწოდებენ, რა გრძნობა გეუფლებათ მარტის დადგომასთან ერთად?

–მარტის თვის დადგომა გაზაფხულის მოსვლას გვახარებს. გაზაფხული ორმაგად მიყვარს. ჯერ ერთი, რომ დაბადებული ვარ გაზაფხულზე, გაზაფხული ლამაზი ფერებითაა გაჯერებული, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსეა, მიყვარს...!

რა სურს ყველაზე მეტად ქალს?

–სიყვარული, მადლიერება, ბედნიერება, სითბო და ყურადღება.

როგორია თქვენი სარვამარტო სურვილები?

–გვიყვარდეს ერთმანეთი...!

რა ოცნება გაქვთ ?

–ვიყო წარმატებული და ბედნიერი ქალი.

რა საჩუქარს ისურვებდით სარვამარტოდ?

–ყვავილებს...

რას ეტყოდით ქალებს, როგორ მიულოცავდით მათ დედის დღეს და რვა მარტს.

–მსოფლიოში ყველა ქართველ ქალს მივულოცავ დედის დღეს და 8 მარტს. ჯანმრთელად ყოფნას, ერთგულებას, სიყვარულს, სიკეთეს ვუსურვებ. ყოველი დღე მათთვის 8 მარტი ყოფილიყოს, სიყვარულის ზღვა და ყვავილების ოკეანე მათთვის ეჩუქებინოთ.

მამაკაცების საყურადღებოდ; გაუფრთხილდით ქალებს ისინი ძალიან სათუთი და ნაზი არსებები არიან. მუდამ მოფერებას და ულევ სითბოს საჭიროებენ. იყავით მათთვის იმედი, საყრდენი კედელი და ენერგიის ულევი წყარო. გიყვარდეთ ისინი, პატივი ეცით, გაუფრთხილდით და არასდროს ხელი არ კრათ. სამაგიეროდ, მიიღებთ გულწრფელ სიყვარულს და ბედნიერებას.

ნინო გერგაია

ფეხბურთი ჩემი ბედნიერებაა

ბატონი იური ჭანტურია წელს სამოცდახუთი წლის ხდება. იგი საჯიჯაოში ცხოვრობს მეუღლე–ქეთინო თუნთიასთან ერთად. ორი შვილი ჰყავთ გაბრიელი და ხათუნა შვილიშვილების სიმცირეს არ უჩივის ლადო, კოკა ჭანტურიები, ნანა, ქეთევანი, ლუკა, გიორგი დიდიები. ამაყობს იმით, რომ ლუკა და გიორგი პატრიარქის ნათლულებია. ტკბილად მიედინება ოჯახური ცხოვრება, ოჯახში დალაგებული ურთიერთობები აქვთ, იცავენ ქართული სტუმართმოყვარეობის წესებს, ჯანსაღი ოჯახური ტრადიციების მატარებლები არიან.

მაგრამ არის ისეთი რამ, რაც ბატონ იურის ცხოვრების მიზანს, მის ნაწილს წარმოადგენს, ურომლისოდაც მას ძალიან გაუჭირდებოდა. ესაა დიდი ფეხბურთი, რომელსაც იურიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა. მას არ ახსოვს წუთი და წამიც კი ეცხოვრა ფეხბურთის გარეშე. თავიდან იყო სპორტული გაზეთის „ლელოს“ კორესპონდენტი, სადაც რუბრიკა „ფეხბურთის“ ამბებს აშუქებდა. იგი ამაყობს იმით, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატის რადიო-რეპორტაჟი მიჰყავდა დავით ქლიბაძესთან ერთად.

ბატონი იური მსაჯობდა საკავშირო რესპუბლიკურ მატჩებზე, ეროვნულ ჩემპიონატზე იყო მატჩის დამკვირვებელი (კომისარი), იმუშავა ხობის საფეხბურთო კლუბის ვიცე პრეზიდენტად, შემდეგ ამავე საფეხბურთო კლუბის დირექტორად. ამჟამად მუშაობს ხობის საფეხბურთო კლუბის „კოლხეთი“ ადმინისტრატორად, სადაც ორგანიზაციულ საკითხებს უძღვება.

–არ შეიძლება არ აღვნიშნო ის დიდი ფეხბურთელები, რომლებთანაც მქონია ურთიერთობა, ეს პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარია. დავასახელებ რამდენიმე მათგანს. ესენია: სერგო კოტრიკაძე, ზაურ კალოევი, რამაზ შენგელია, ბორის სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, ზაურ სვანაძე. საერთოდ, აღნიშნავს ბატონი იური: ფეხბურთისადმი ჩემს სიყვარულს დიდი ისტორია აქვს, იგი ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან დაიწყო, მაშინ როცა სოფლის მოედანზე უბნელები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, სკოლაში, როცა კლასებს შორის მიმდინარეობდა შეჯიბრებები, შემდეგ ეს სიყვარული ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაიქცა, რიგი მიზეზების გამო დიდ ფეხბურთში არ მითამაშია, მაგრამ მის გარეშე არ მიცხოვრია, მიღებული მაქვს უეფას მიერ გაცემული სერთიფიკატი–„ფეხბურთის მენეჯერი“. ხობის საფეხბურთო კლუბში 35 წელიწადია ვმუშაობ, ვარ მისი ერთ-ერთი მეისტორიე, მისი წარმატებების თუ მარცხის თანამოზიარე. ბედნიერად ვთვლი თავს იმ კუთხით, რომ მქონდა ბედნიერება ხობის გუნდში მემუშავა ისეთი ადამიანების გვერდით, როგორებიც იყვნენ და არიან–დემურ თუთბერიძე, პაატა თათარიშვილი, ზურაბ ბუბუტეიშვილი, ანზორ სანიკიძე, ლევან ლემონჯავა, ფრიდონ გოცირიძე, რომლებსაც ლომის წვლილი აქვთ შეტანილი ფეხბურთის განვითარების საქმეში. ჩვენს რაიონულ ფეხბურთის გუნდს აღმატებული პერიოდები ჰქონდა, მაგალითად 1988 წელს იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა, 1989 წელს საკავშირო ჩემპიონატის პირველობაზე მიიღო მონაწილეობა, სადაც მაღალი კლასის თამაში აჩვენა და ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი გუნდი გახდა საკავშირო ჩემპიონატის იმ ლიგაში, რომელშიც ის თამაშობდა.

დღეს მიხდება იმ ხალხთან ცხოვრება და მუშაობა, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეში, კერძოდ კი ხობის საფეხბურთო კლუბის განვითარებაში, ესენია: ლევან ნოდია, ზურაბ ლატარია, ფრიდონ გოცირიძე, ელდარ გვასალია, რევაზ ქაშიბაძე, ვლადიმერ ჯამბურია, ალექსანდრე სანაია, კალისტრატე (გელა) ხურცილავა.

ამჟამად ხობის „კოლხეთი“ მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის გათამაშებაში, მან დაბა ურეკში გადამზადება გაიარა და პირველი მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ფეხბურთელებს სპორტული ეკიპირება დაურიგდათ, გუნდის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, გასახდელი და სამსაჯო ოთახებს რემონტი ჩაუტარდა, რომელიც ამ ლიგაში მოთამაშე გუნდების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გუნდს სათავეში გამოცდილი მწვრთნელი გია გურული ჩაუდგა, იგი თბილისის დინამოს ყოფილი ფეხბურთელი და ნაკრების წევრი იყო, ნათამაშევი აქვს საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ დივიზიონში. ხობის „კოლხეთის“ საფეხბურთო კლუბი მომავალი სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში გასასვლელად იბრზოლებს.

გუნდს მხარში უდგას და მის მიმართ მზრუნველობას იჩენს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელთა დახმარებითაც მუდმივად, თანდათან უმჯობესდება მისი ინფრასტრუქტურა.“–ასე მთავრდება ჩემი შეხვედრა ბატონ იური ჭანტურიათან. კაცთან, რომელიც წლების განმავლობაში ქართულ ფეხბურთს ემსახურა, შეიყვარა და შეისისხლხორცა იგი, გვიჩვენა თუ როგორი უნდა იყოს ფეხბურთზე შეყვარებული ადამინი.

მინდა მივულოცო მას 65 წლის იუბილე, ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული და თავისი მშობლიური გუნდის ხობის „კოლხეთის“ შემდგომი წარმატებები.

მანანა შულაია

მეამოსათხოვარი

არასოდეს დაგივიწყებთ

დურუ კობახიძე

უძლიერესი ფიზიკოსი. ასე იცნობდნენ დურუ მასწავლებელს არამარტო ჩვენს რაიონში, არამედ საქართველოში. ის იყო მკვლევარიც, გამომგონებელიც და მეთოდისტიც. იყო სკოლის ბერმუხა. მშვიდი და აუჩქარებელი. კარგი მოსაუბრე, გაწონასწორებული, სამართლიანი. ჭეშმარიტი მასწავლებელი. მასწავლებელი, რომელიც შრომით იკვებებოდა. სანთლით საძებარი ფიზიკოსი ბრძანდებოდა .

25 წლის იყო, როცა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობა დაიწო პირველი მაისის საჯარო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. 55 წლის განმავლობაში იშრომა, იღვაწა და ნათელი კვალი დატოვა ჩვენს სკოლაში. ის იყო მასწავლებელი, რომელმაც მოაწყო სასწავლო კაბინეტი, უზრუნველყო თვალსაჩინო და სადემონსტრაციო ხელსაწყოებით, სადაც სწავლება ხდებოდა ტექნიკური საშუალებებით, მან არა მარტო ფიზიკის ოთახი მოაწყო, არამედ თვითონაც აკეთებდა ტექნოლოგიურ რესურსებს, იყო ნოვატორი. მისი და მისი მოსწავლეების მიერ გაკეთებული ხელსაწყოები არაერთხელ ყოფილა გატანილი რესპუბლიკურ შემოქმედებით გამოფენაზე. სწორედ დამსახურებულად, 1960 წლიდან ის მასწავლებელთა რაიონულ მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანლობდა. მისი გაკვეთილები გამოირჩეოდა ეფექტური სადემონსტრაციო ცდებით. ნაყოფიერი და შემოქმედებითი მუშაობისთვის ის დაჯილდოებულიქნა „საპატიო ნიშნის ორდენით“. მინიჭებული ჰქონდა მეთოდისტისა და მთავარი სპეციალისტის წოდებები. იგი არა ერთხელ იყო მიწვეული სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ფიზიკის მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიის წევრად.

დურუ კობახიძე იყო ყველასთვის საყვარელი მასწავლებელი და საყვარელი ადამიანი. ინტელექტი. ოჯახის მოსიყვარულე, საუკეთესო მამა, საუკეთესო მეგობარი და თანამშრომელი.

ჩვენი სკოლის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება დურუ კობახიძის სახელი. მისი მოსწავლეები და კოლეგები მის სახელს მოწიწებით გაიხსენებენ.

მარადიულ სასუფეველში იყოს თქვენი წმინდა სული. არასდროს დაგვავიწყდებით... მშვიდად იძინეთ.

პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მშვიდობით...

რეინ მირგვატია



სულით და ხორცით ძლიერი იყავი, როინ. არავის ეგონა, თუ რამე მოგერეოდა. სამწუხაროდ, წარსულში გვიხდება როინ მირგატიაზე ლაპარაკი. ასეთია წუთისოფელი. ვინ იცის, როდის გვეწვევა სიკვდილის მსახვრალი ხელი. ყველა ვქრებით, ზოგი ნაადრევად, ზოგიც დროულად. შენი სიკვდილი ნაადრევი იყო. დიდხანს არ გიცხოვრია განგების მიერ შენთვის ნაბოძებ წუთისოფელში. სამოცდაორი წელი მიითვალე მხოლოდ. თუმცა, ბევრი რამ მოასწარი დროის ამ მონაკვეთში. რაც მთავარია, პატიოსნად, ლამაზად და ვაჟკაცურად იცხოვრე.

ოჯახზე უსაზღვროდ მზრუნველი მეუღლე და მოამაგე მამა იყავი. ბაბუა ხომ სანიმუშო. კითხვა ძალიან გიყვარდა. სათავგადასავლო მოთხრობებს ეტანებოდი უმეტესად. შვილებს საუკეთესო განათლება მიაღებინე. ადამიანური თვისებაც უხვად აქვთ მომადლებული. შეძენილი შვილებიც, რძალი და სიძე, სამაგალითო შეგხვდა. შენ ოჯახით ამაყობდი, ისინი–შენით. სადაც კი იმუშავე, ყველგან სითბო, სიყვარული და არაერთი კარგი მოსაგონარი დატოვე. საახლობლო და სამეგობრო წრითაც გამოირჩეოდი.

ალალ, კეთილ, ჭკვიან და ხალისიან კაცად გიცნობდნენ, როინ. საოცარი იუმორის გრძნობა გქონდა. ზოგჯერ ვერ ვარჩევდით, სერიოზულად ამბობდი, თუ ხუმრობდი. ამაში იყო რაღაც იდუმალი ხიბლი. ამიტომაც ძალიან უყვარდი ბავშვებს. მიდგომაც გქონდა ისეთი. ბავშვთან ბავშვი იყავი. პროფესიით აგრონომს, ბუნება გიზიდავდა განსაკუთრებით. თუმცა, ბუნების ამ ტრფიალში სამყაროსადმი რომანტიკული განცდაც სჭარბობდა შენში, სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევდი ირგვლივ. შენი დანატოვარი სითბო და სიყვარული მეგზურად გაჰყვება შენს ოჯახს. სევდას უტოვებ მათ როინ, მაგრამ ისინი გაუმკლავდებიან უშენობით გამოწვეულ ტკივილს, არასდროს დაგვივიწყებენ. სასოებით მოიგონებენ შენს სახელს.

შენი ნაშრომ-ნაჯაფი კერიის სანთელი ახლა შენი მეუღლეა. შენს ნაამაგარ შვილებსა და შვილიშვილებს მან უნდა გაუღოს სახლის კარი. მან უნდა გადასცეს მათ სითბო. მშვიდად განისვენე. შენეულ ტრადიციას ღირსეულად გაგრძელებს შენი ერთგული მეუღლე. ამას შენი სულიც იგრძნობს უთუოდ. შენი შვილებიც სათუთად გაუფრთხილდებიან დედას და ოჯახის ღირსებას. ამის ძალა მათ შესწევთ.

დასანანია შენი სიკვდილი, როინ. მოულოდნელად დატოვე ამქვეყნიური სამყარო. ძალიან დაგვწყვიტე გული. გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე, შენთან გამოსამშვიდობებლად უამრავი ადამიანი მოვიდა. ძვალთშესალაგ ადგილამდეც ბევრმა მიგაცილა, ესეც შენი კაცური ცხოვრების დასტური იყო.

მშვიდობით, ძმაო. წუთისოფელში პატიოსნად გავლილი ცხოვრება და დათესილი სიკეთე გინათებდა გზას. სამუდამო სამყოფელს კი შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები, ლოცვა და მონატრება გაგინათებს, უფალი დაგიმკვიდრებს სულის სიმშვიდეს და ნათელ სასუფეველს.

მეზობლები

მიხეილ კალანდია



არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში ნათელ ვარსკვლავად კიაფობენ. მათი საქმეები კეთილ შუქად ანთია და მას შემდეგ, რაც არსთაგამრიგე საიმქვეყნოდ გაიწვევს, დიდხანს არ მიადგებათ დავიწყების ჩრდილი. რამეთუ ისინი ნამდვილი ადამიანები იყვნენ და ასევე დარჩებიან ხსოვნაში. მათ რიცხვს კიდევ ერთი კარგი ადამიანი მიხეილ კალანდია მიემატა.

მიხეილ კალანდია–ამ სახელისა და გვარის ყოველი გახსენება ტკბილ-მწარე მოგონებებს აღძრავს ხოლმე. დღეს, როცა ასე ძალუმად მოეძალა ანსამბლ „კოლხეთს“ ტკივილთა სიმრავლე, როცა ცრემლი და გოდება გახშირდა... ვერავითარი ცრემლი და გოდება ვერ შეამსუბუქებს მძიმე დასასრულს, ვერც ვერავითარი სიკვდილი ვერ ჩააქრობს სულის იმ ნათელს, რომელიც ბატონმა მიხეილმა აანთო თავისი მთელი შეგნებული ცხოვრებით სიცოცხლის მანძილზე ოჯახის, ქვეყნისა და რაიონის წინაშე, უდიდესი ღვაწლის გამო.

ბატონმა მიხეილმა სიმღერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. 1976 წელს, ორი სოფლის– საჯიჯაოსა და ხიბულის ბაზაზე შეიქმნა ფოლკლორული ანსამბლი. არსებობის ერთი წლის თავზე ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, საიდანაც ლაურეატის წოდებით დამშვენებული დაბრუნდნენ. ამ ანსამბლის ბაზაზე 1983 წელს ხობის რაიონში იშვა ანსამბლ „კოლხეთის“ მეორე თაობა, სადაც მიხეილ კალანდიას ბედად ხვდა ანსამბლის წევრობა.

ოთხი ათეული წელი ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. ანსამბლს ბატონ მიხეილის მოღვაწეობის პერიოდში მრავალი კონცერტი ჩაუტარებია, ყოფილან საგასტროლოდ, მონაწილეობას ღებულობდნენ ფესტივალებსა და ოლიმპიადებში. მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოვებული ბატონი მიხეილი. გარდა სიმღერისა, მის მიერ შესრულებული როლებიც ახსოვს ხობელ მაყურებელს. ის აქტიურად მონაწილეობდა სახალხო თეატრის სპექტაკლებში და სახალხო დღესასწაულებში.

მიუხედავად ბობოქარი ცხოვრებისა, როდი იღლებოდა. განვლილი ცხოვრების გზა წარმოაჩენს ადამიანს. საქმისადმი მის სიყვარულსა და პასუხისმგებლობას. ბატონი მიხეილი ხომ სიკეთისთვის იყო დაბადებული. სიკეთის ქმნა კი უკვდავებას ამკვიდრებს.

სამაგალითო კოლხი კაცის, მიხეილ კალანდიას სახელს მუდამ სიამაყითა და სიყვარულით მოიგონებენ მისი მეგობრები.

რა ულმობელი და მკაცრია წუთისოფელი. გვიმძიმს, მაგრამ გემშვიდობებით. მშვიდობით ბატონო მიხეილ, თქვენ ხომ მარადიულობაში გადასახლდით.

მეგობრები.

ნანი არახამია

ნანი, ძალიან გვტკივა უშენობა, შეიძლება ყოველდღევერ ვნახულობდით ერთმანეთს, მაგრამ ახლობლები–ძმების ცოლები ვიყავით და ბევრი რამ გვაერთიანებდა. შენ ძალიან კარგი ადამიანი, კარგი დედა, მეუღლე და ბებია იყავი, კარგი მეოჯახე, მშრომელი, ოჯახის ერთგული და მოსიყვარულე. დასანანია, რომ წარსულში უნდა მოგიხსენოთ. შენს საფლავზე რამდენჯერ ამოვედით. არ გეწყინოს, რომ ძალიან ხშირად ვერ მოგინახულეთ.

გვენანები, ნანი, რომ დატოვე შენი და სევდარის ლამაზი, ნაშრომი და ნაჯაფარი ოჯახი. უშენოდ უჭირთ შენს შვილებს, მეუღლეს შენს მოვლილ და ნალოლიავებ ოჯახს, შენს ლამაზ ყვავილებს...

ერთი წელი გავიდა უშენოდ. ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. გამრავლდა ოჯახი, კიდევ გამრავლდებიან საბედნიეროდ. შენ კი ჩვენო კარგო დაო, შენს საყვარელ დასთან–ნინელისთან ერთად იძინე მშვიდად. იყავი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

უფალს ვთხოვთ გაგინათოს სასუფეველი. შენს საფლავზე ყოველთვის ანთია შენი წილი სანთელი.

მუდამ გვემახსოვრები, გვიყვარხარ!

ლია ლატარია, მიმოზა კვიკვინია.

დიდი მარხვა– ზეიმი სულისა

როგორ დავიცვათ დიდი მარხვა

–ჩვეულებრივ დიდ მარხვაში უნდა შევიკავოთ თავი ხორცისა და ხორცის პროდუქტებისგან, ყველისა და რძის პროდუქტებისგან, კვერცხისა და თევზეულისგან. არ არის დაშვებული ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების დალევაც. კარგი იქნება თუ ვისარგებლებთ დიდი მარხვის საერთო შემართებით და დავთმობთ სიგარეტს და სხვა მავნე ჩვევებს.

დამწყებთათვის სასურველია, რომ მთელი მარხვის განმავლობაში არ მიიღონ ხორცი და ხორცის პროდუქტები, თავი შეიკავონ ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელებისგან. რძის პროდუქტები და კვერცხი შეუძლიათ მიიღონ გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, რომელთა სრული მარხვით დაცვა კარგი იქნება.

ვინც პირველად აპირებს მარხვის შენახვას და ვისაც სურს მარხვის გამკაცრება, უნდა მიმართონ მოძღვარს რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევისათვის.

თუ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული მარხვის შენახვა, მიმართოს მოძღვარს და ის შეურჩევს მარხვის უვნებელ ზომას.

დიდი მარხვის პირველი შვიდეული განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა.

ჩვეულებრივ საკვები უზეთოდ მზადდება და მცირდება მისი მიღების რაოდენობა.

დამწყებთათვის საკმარისია სრულად დაიცვან მარხვა, ყოველგვარი გამკაცრების გარეშე.

დიდი მარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დიდი მწუხრის შემდეგ იკითხება წმ. ანდრია კრიტელის სინანულის კანონი. დიდი მარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია. სხვა სადაგ დღეებში წირვა არ ტარდება.

დიდმარხვის I შაბათს აღინიშნება ხსენება წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონისა. ამ დღეს ტაძრებში იკურთხება კოლიო. წმიდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის აღსრულებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა, რომელსაც სურდა დიდმარხვის ჩაშლა, პირველ შვიდეულში გასცა ბრძანება, რომ ყოველდღე, მთელი კვირის განმავლობაში, ესხურებინათ ნაკერპავი სისხლი ყველანაირ სურსათ-სანოვაგეზე, რომელსაც ბაზარში გამოიტანდნენ.

ამ დროს წმ. თეოდორე გამოეცხადა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს და მოუწოდა მას ეცნობებინა ყოველი ქრისტიანისთვის, რათა მათ არ ეყიდათ ბაზარზე გამოტანილი შებილწული საკვები და ეჭამათ მხოლოდ კოლიო, ანუ თაფლით შეზავებული მოხარშული

20

დედა, სიცოცხლის დიდო საწყისო!

დედის დღე ხობში

ქ. ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა ჯგუფის წევრებმა ორიგინალურად მიულოცეს დედებს დედის დღე. ასფალტზე ცარცით დახატეს სხვადასხვა ფერის ყვავილები და დიდი ასოებით– დე, მიყვარხარ, გილოცავ!–ჩაწერეს. პარალელურად მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ნორჩი მხატვრის გელა გულუას პერსონალური ნახატების გამოფენა მოეწყო. გამოფენა 8 მარტამდე გაგრძელდა. ულამაზესი სანახაობები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიურის ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

საქართველოში 3 მარტი, როგორც დედის დღე, ისე აღინიშნა. 1991 წელს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ დედის დღეს ქალთა საერთაშორისო დღე–8 მარტი უნდა შეეცვალა, მაგრამ ასე არ მოხდა და მარტის დასასწყისში ორივე დღესასწაული აღინიშნება.

WWW.khobi.ge

დედაშენი არის ღმერთი...

დედაშენი არის ღმერთი. შენ რომ ზიხარ და უყურებ. ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე! ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა, ღმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია?

ნოდარ დუმბაძე

* * *

ქალი მყვრია ამ ქვეყანაზე,
მაგრამ დედა კი–მხოლოდ ერთია.
დედა ერთია ვით მზის ამოსვლა.
ვით უკდავეამა, დედა ერთია,
და ქვეყანაზე ომის დაწყმა
ეგ იგივეა–დედას ესვრიან.
ახალს ლანდივით შორდემა ძველი,
ცხოვრემის გზაზე ვის არ
შეცვლიან,
არ გაჩენილა დედის შემცვლელი,
სილამაზე და დედა ერთია.
დედა ერთია ვით სინანული,
ვით სისპეტაკე, დედა ერთია,
სიკვდილისათვის თვალის ამოთხრა
მხოლოდ დედას თუ გაუმეღნია.
დედამ დათესა ეგ სილამაზე,
დასამამიდან რასაც ეცრთიან,
ქალი მყვრია ამ ქვეყანაზე,
მაგრამ დედა კი მართლა ღმერთია

გვწერენ

ძვირფასო ხომლელებო!

გულითად მადლობას გიხდით ყველას, რომლებმაც გაიზიარეთ ჩემი სიხარული ჩვენი საყვარელი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული „ილია მართლის“ (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პრობაპოეზიის პრემიისა და „ქართული ელიტის წლის პოეტის“ წოდების მინიჭების გამო. ორმაგად მიხარია, რომ ეს ჯილდოები მოვიპოვე, როგორც ხობელების წარმომადგენელმა.

გპირდებით, ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს კვლავაც ხობელების სახელის წარმოჩენას მოვახმარ.

თქვენი მერი აბრამია.

წერილი რედაქციას!

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს, ვინც მომილოცა დამადებიდან 80 წლის იუბილე, ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში, იდღეგრძელოთ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

ნათელა ალანია-ლომაია.

დიდი მარხვა–ზეიმი სულისა

19

ხორბალი.

ამ მოვლენის აღსანიშნავად მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს აღასრულებს წმიდა თეოდორე ტირონისადმი სავედრებელ კანონს და აკურთხებს კოლიოს (წანდილს). ამ დღეს სრულდება იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის I კვირას აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი, დღე, როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ და დაიგმო ხატმებრძოლობა. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

შაბათსა და კვირას მკაცრი მარხვა არ შეიძლება. დასაშვებია ცოტაოდენი ღვინის შესმა.

დიდი მარხვის II, III და IV შაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეებია. იკურთხება საკურთხი. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის II კვირას ვიხსენიებთ წმიდა გრიგოლ პალამას, თესალონიკელ ეპისკოპოსს. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

III კვირას ჯვარის თაყვანისცემის კვირა ეწოდება. ამ დღეს შუა ტაძარში დაესვენება ცხოველსმყოფელი ჯვარი და მისი საპატივცემო წირვა-ლოცვა აღევლინება. სრულდება წმ. ბასილი დიდის წირვა.

25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) აღინიშნება ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

დიდი მარხვის IV კვირას არის ხსენება ღირსისა მამისა იოანე კიბისაღმწერელისა, რომელმაც აღწერა სათნოებათა კიბე აღმავალი ზეცად. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

დიდი მარხვის V შაბათს დაუჯდომლის შაბათი ეწოდება. ამ დღეს იკითხება ღვთისმშობლის დაუჯდომელი გალობა, რომელიც დაწესებულია მოსახსენებლად კონსტანტინეპოლში აღვლენილი საყოველთაო და გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც შეისმინა დედამ ღვთისა და მისი შუამდგომლობით შეწყდა ღვთის რისხვა. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის V კვირას ვიხსენებთ ღირს დედა მარიამ მეგვიპტელს, რომელიც თავდაპირველად უწმინდური და თავაშვებული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ღვთის მადლითა და ღვთისმშობლის შემწეობით ირწმუნა ღმერთი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმიდანი გახდა. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

VI შაბათს ლაზარეს შაბათი ჰქვია. ამ დღეს ვდღესასწაულობთ მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას (წაიკითხეთ იოანეს სახარების მე-11 თავი). ტარდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

VI კვირა - ბზობაა, ანუ იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. ტაძრებში იკურთხება ბზა. ხსნილია თევზითა და ღვინით. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდ მარხვას მოსდევს ვნების შვიდეული. მარხვა კვლავ უფრო მკაცრი ხდება, განსაკუთრებით დიდ პარასკევს - იესო ქრისტეს ვნებათა ხსენების დღეს.

დიდი ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე ტაძარში იკითხება ოთხივე სახარება მთლიანად. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია, დიდ ხუთშაბათს წმიდა ბასილი დიდის წირვა. ხუთშაბათის შემდეგ აღარ ითქმის ეფრემ ასურის ლოცვა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტი–ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.